№ 143
კვირა, 14 აგვისტო.

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 143
კვირა, 14 აგვისტო.

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

ეროვნული ბიბლიოთეკა
საჯარო ბიბლიოთეკა

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 17 აგვისტოს.

რედაქცია აუწყებს ხელნაწერების იმ ავტორებს, ვისთანაც წინდაწინვე გარიგებული არ არის, რომ ყოველ წერილს, რომელზედაც აღნიშნული არ იქნება ავტორის პირობები ჰონორარის შესახებ, რედაქცია უფასოდ ჩასთვლის და, თუ დაიბეჭდა, ჰონორარს არ გადიხდის.

საბჭო ქუთაისის საქალაქო სამეურნეო საზოგადოების ,,შრომა''-სი ამით აცხადებს, რომ სწავლა საზოგადოების სამეურნეო სკოლაში განახლდება პირველ სექტემბრიდან ამა მდგომარე წლისა. ამ სამოსწავლო წელში გაიხსნება მეორე კლასი. ფასი სწავლისა იგივე რჩება, რაც შარშან იყო, ე. ი. პანსიონერზე ას ოცდა ათი მანათი (130 მ.) და გარედან მოსიარულე მოსწავლეზე ოცი მანათი (20 მ.) წელიწადში. თხოვნა სკოლაში მიღების შესახებ უნდა იქმნეს დაწერილი სკოლის გამგის სახელობაზე.—ფოსტის ადრესი: Секретарю совѣта общества „Шрома“ I. К. Такайшвили, для передачи завѣдывающей школою общества, въ гор. Кутаисъ. Контора Нотаріюса Анджапаридзе. (7—2)

,,ქართული დრამის ამხანაგობის გამგეობა'' ამით აცხადებს, რომ 31 ივლისისათვის მიწვეული ამხანაგობის წევრთა კრება არ შესდგა,—

მეორე კრება ამხანაგობისა

დანიშნულია სამშაბათს 16 აგვისტოს, საღამოს რვა საათზე, დრამატიულ საზოგადოების კანტორაში. კრება კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

განსახილველი საგნები: 1904 წლის სეზონის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება. 2. სარევიზიო კომისიის მოხსენება. 3. ლიკვიდაცია ამხანაგობისა. (1—1)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ე. ქ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

გ. აშეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ზ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. ჰ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ხ. ქ. აბიანცი—შინაგან ავადმყ. 7—8 საათ.

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіана.** Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმობით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ხ. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და გარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11 და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ბესარიონ პაპავა—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ბოიკოტი

ეს უცხო სიტყვა ამჟამად უცხო აღარ არის ჩვენში: სოფლად თუ ქალაქად, გლეხისა თუ მემამულისაგან, მუშისა თუ ვაჭარ-მრეწველისაგან,—ყველგან და ყველასგან ხშირად გვესმის ეს სიტყვა და ცხოვრებაშიაც ხშირად ვხედავთ იმ პრაქტიკულ მოქმედებას, რომლის სახელსაც აღნიშნული სიტყვა გამოხატავს. დღეს გურიაში ხალხი ბოიკოტს უცხადებს დამნაშავეებსა და ამ საშუალებით სჯის მათ დანაშაულობისთვის; ქართლში გლეხები ბოიკოტითვე სჯიან მემამულეებს, რომელნიც მათ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებენ; ტფილისშიაც ამას წინად ბოიკოტი გამოუცხადეს „კახეთის“ მევენახეთა ამხანაგობას, რომელსაც უთანხმოება მოუვიდა კანტორის მოსამსახურეებთან და, ამ უკანასკნელთა გაფიცვის შემდეგ, კანტორაში ახალი მოსამსახურეები დააყენა. ერთის სიტყვით, ,,ბოიკოტმა'' დღეს მოქალაქობრივი უფლება მოიპოვა ჩვენს ცხოვრებაში. ამიტომ საჭიროა, რომ ამ სიტყვამ უფლება მოიპოვოს მწერლობაშიაც. პრესსა გამომხატველია ცხოვრების მიმდინარეობისა და ამიტომ მასში უნდა გამოიხატოს და ახსნილ იქმნას ის მოვლენაც, რომელიც დღეს ცხოვრებაში ხშირად გვხდება და რომელსაც სახელად ბოიკოტი ეწოდება.

ბოიკოტი—ანუ ქართულად: შერისხვა, მოკვეთა—არის კლასობრივ სოლიდარობის საფუძველზე აგებული საშუალება, რომელსაც ხმარობს მუშა ხალხი კაპიტალისტ-მწარმოებელთა წინააღმდეგ, რათა მათ ნივთიერი ზარალი მიაყენოს და ამით აიძულოს ისინი მუშათა მოთხოვნილებაზე დათანხმდნენ.

ამ საშუალების მსგავს ღონისძიებას უკვე საშუალო საუკუნეებში ხმარობდნენ ქარგლები დასავლეთ ევროპის ქალაქებში, მას შემდეგ, რაც მათ თავიანთი კავშირები შეადგინეს და ამქრულად შეკავშირებულ ხელოსან-ოსტატებთან ბრძოლა დაიწყეს. ქარგლები საჯაროდ შერისხავდნენ ხოლმე იმ ოსტატებს, რომელნიც თავის ხელქვეით ქარგლებს ცუდად ექცეოდნენ, და სწყვეტდნენ მათთან ყოველგვარ დამოკიდებულებას. ქარგალთა კავშირი უკრძალავდა თავის წევრებს შერისხულ ოსტატისაგან ნაწარმოები ეყიდნა და ან საზოგადოდ მასთან რაიმე საქმე დაეჭირათ. ამ საშუალებით ქარგლები ცდილობდნენ თავის სხვადასხვაგვარ მოთხოვნილებებზე ოსტატები იძულებით დაეთანხმებინათ და ამგვარად თავისი ინტერესები დაეცვათ. ეს ღონისძიება არსებითად იგივეა, რასაც ჩვენ დღეს ბოიკოტს ვეძახით.

მიუხედავად ამისა, იმ სისტემის ბოიკოტი, რომელსაც დღეს ხმარობს მუშა ხალხი კაპიტალისტურ ქვეყნებში, უფრო ახალის დროისაა,—სულ 25 წელიწადია მას შემდეგ, როცა იგი პირველად ხმარებულ იქმნა. კლასობრივ ბრძოლის ამ საშუალებას სახელიც—ბოიკოტი—იმ კაცისა ჰქვიან, რომელსაც პირველად გამოუცხადა მშრომელმა ხალხმა შერისხვა. მესამოცდაათე წლებში, ირლანდიაში ცხოვრობდა ერთი კაპიტანი, კარლოს ბოიკოტი, რომელიც ერთის ლორდის მამულში მოურავად იყო. ბოიკოტი აქ ლორდის საკუთარ მეურნეობასაც ზედამხედველობდა და მოიჯარადრეთაგან იჯარასაც აგროვებდა,—ლორდის მამულში მრავლად იყვნენ წვრილი მოიჯარადრენი. ბოიკოტი სასტიკი კაცი იყო და ძალიან ავიწროებდა მოიჯარადრეებს. მოიჯარადრეებმა ბევრი ითმინეს და ბოლოს, როცა მოთმინების ძაფი გაუწყდათ, ბოიკოტის წინააღმდეგ ენერგიული ღონისძიება იხმარეს. 1879 წლის შემოდგომაზე, მათმა ლიგამ შერისხა ბოიკოტი და მასთან ყოველგვარ დამოკიდებულების გაწყვეტა დაადგინა. შერისხვამ გასჭრა: ყველა მუშებმა, რომლებიც ბოიკოტს დაქირავებული ჰყავდა, მუშაობას თავი გაანებეს და მოწეული მოსავალი მიწაზე დასტოვეს უპატრონოდ. მოახლეებმა და მოჯამაგირეებმა მიატოვეს ბოიკოტის სახლი. ბოიკოტმა სცადა სხვა ადგილებიდან მუშების მოყვანა, მაგრამ ვერავინ იშოვნა. თუმცა სამუშაოს მძებნელი ბევრი იყო, მაგრამ მასთან არავინ მოდიოდა. მუშების ძებნის დროს, მას თავისთვის საჭმლისა და ბინის შოვნაც უძნელდებოდა: მეეტლეები უარს ეუბნებოდნენ და ეტლში არ ისვამდნენ; ყასბები, მეპურეები და მეწვრილმანეები ყოველგვარ სანოვაგის მიყიდვაზე უარს უცხადებდნენ; სასტუმროს პატრონები ოთახსაც არ აძლევდნენ დასაძინებლად. როცა ბოიკოტს შინაურ ოთხფეხის საქონლის გაგზავნა უნდოდა ბაზარში გასაყიდად, რკინის გზის საზოგადოებამაც უარი უთხრა,—შენს საქონელს ვერ გადავზიდავთო. ბოიკოტს საქმე ძალიან გაუჭირდა და ბოლოს მთავრობამ გადასწყვიტა მისთვის დახმარების გაწევა: მან სალდათები გააყოლა ბოიკოტს, რომელმაც ერთ შორეულ ადგილას, სადაც ირლანდიის სამამულო ლიგას გავლენა არ ჰქონდა, იშოვა მუშები და მოიყვანა ლორდის მამულში. მაგრამ უკვე გვიან იყო,—მოსავალი მიწაზე დამპალიყო, ასე რომ სალდათების შენახვისა და მუშების მოყვანის ხარჯი უსარგებლოდ გადაიხადა ბოიკოტმა. მისმა მეცადინეობამ და მოიჯარადრეებთან ბრძოლამ მისთვის სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო და ბოლოს თვითონ ბოიკოტი იძულებული გახდა ლორდის მამულისთვის თავი დაენებებინა და სხვაგან გადასახლებულიყო.

ამ შემთხვევის შემდეგ გახშირდა ინგლის-ამერიკისა და ევროპის კონტინენტის მუშა ხალხის პრაქტიკულ ბრძოლაში შერისხვის ხმარება, რომელსაც სახელად ბოიკოტი დაერქვა.

თუ როდის და როგორ ხმარობენ ხოლმე აქ მუშა ხალხი ამ საშუალებას და რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ ტფილისში გამოცხადებულ პირველ ბოიკოტისაგან,—ამაზე ჩვენ მკითხველთან შემდეგ ნომერში მოვილაპარაკებთ.

კრიზისი გარეშე და შინაური.

რუსეთის პოლიტიკურმა კრიზისმა მთელი ქვეყანა აალაპარაკა. ამ კრიზისმა ძირი გამოუთხარა ბიუროკრატიის ბატონობას სახელმწიფოში, გათვითცნობიერებულ ხალხს თავისუფლების სურვილი აღუძრა გულში და იმის მიზეზი შეიქმნა, რომ, დღეს იქმნება თუ ხვალ, რუსეთში ისეთივე წესწყობილება უნდა დამყარდეს, როგორიც უკვე შემოღებულია ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოში.

გარეთ ეს კრიზისი გამოიხატებოდა იმ სამაგალითო დამარცხებაში, რომელმაც მოსპო რუსეთის საზღვაო ძალა და ხმელეთზედაც რუსეთის უძლურება გამოაშკარავა.

შინ კრიზისის მომასწავებელი იყო ის ძლიერი საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელმაც შეარყია ცხოვრების საფუძველი, გათვითცნობიერებულ ხალხს თავისუფლება მოანატრა და ბიუროკრატიაც აიძულა ხალხთან კომპრომისები და შეთანხმება ეცადა.

გარედ კრიზისის მოსპობას რუსეთის მთავრობა ომის დასრულებით სცდილობს და ახლა ამერიკაში იაპონიის წარმომადგენლებთან მოლაპარაკება გამართული აქვს...

შინაურ კრიზისის მოსპობისათვის კი უკანასკნელი მანიფესტი გამოიცა, რომელმაც, მთავრობის აზრით, უნდა დააკმაყოფილოს ხალხი და თავისუფლების მოსურნე საზოგადოება შეარიგოს ცხოვრების ახლანდელ პირობებს.

ჯერ-ჯერობით ადრეა იმისი თქმა, რამდენად გამართლდება ამ მხრივ მთავრობის იმედი; ადრეა, თუმცა აქა-იქ რუსულ გაზეთებში საზოგადოების მისწრაფების ნიშნები მოჩანს... ცხადია მხოლოდ, რომ ხალხი მანიფესტისაგან გადადგმულ ,,პირველ ნაბიჯს'' არ დაკმაყოფილდება.

არ შეიძლება ჯერ კიდევ იმის თქმა, თუ რითი გათავდება მოლაპარაკება ზავის შესახებ,—მოლაპარაკება, რომელიც ჯერ-ჯერობით სრულ საიდუმლოებით არის მოცული. აქაც ცხადია მხოლოდ, რომ ამ მოლაპარაკების შედეგი ყოველ შემთხვევაში რუსეთს ეკონომიურად დასცემს და გაანადგურებს. მოლაპარაკება ზავით თუ არ დასრულდა, ომიანობა გაგრძელდება და ისედაც დამარცხებული და გაღატაკებული რუსეთი უფრო დამარცხდება და გაღატაკდება. ხალხი მეტ დამარცხებას და სიღარიბეს ვეღარ აიტანს და შინაური კრიზისი გამწვავდება საშინლად. მეორე მხრივ კი ზავის ჩამოგდებას დასჭირდება რუსეთისაგან კონტრიბუციის სახით დიდძალი ფულის გადახდა, რომელიც სესხის, თუ გადასახადის სახით ახლავე უნდა იშოვნოს მთავრობამ.

და, აი, სწორედ მაშინ განსაკუთრებულის სიმწვავით გამოჩნდება, თუ რამდენად ძლიერია რუსეთის ეკონომიური კრიზისი...

ხალხს შიან... მშიერ ხალხს ხაზინაში გადასახადის შემოტანა არ შეუძლიან. შიდა გუბერნიების რამოდენიმე ერობა შუამდგომლობს მთავრობის წინაშე, გადასახადი არ შემოსულა და ხარჯების დასაფარავად საჭირო ფული აღარ გვაქვს,—დაგვეხმარეთო. მაგრამ თუ საერობო გადასახადი არ შემოდის, სახელმწიფო გადასახადის საქმეც იმავე მდგომარეობაშია უთუოდ.

ხაზინის მდგომარეობა სახელმწიფო ბანკის ანგარიშებში უფრო აშკარად მოჩანს. 1 აგვისტოს ბალანსი, სახელმწიფო ბანკისაგან გამოცემული გვიჩვენებს, რომ მას კიდევ 30 მილიონ მანათის ქაღალდის ფული დაუბეჭდია, რომ ეს ახალი ქაღალდის ფული საჭირო შეიქმნა იმიტომ, რომ მრავალმა ფულის პატრონმა ამ ბანკიდან გაიტანა თავისი თანხები, და რომ ომიანობას და სახელმწიფო ხარჯებს მეტი საჭირია ფული, ვიდრე გადასახადის სახით ხაზინაში შემოდის.

ფულის საშოვნელად მთავრობამ ახლა ახალი, 5%, სესხი გამოსცა, სულ 200 მილიონის მანათი უნდა ეშოვნა მთავრობას. პეტერბურგის ბანკებმა, რომელთაც მიენდოთ ამ სესხის განაღდება, მანათში შაური დააკლეს და მხოლოდ 120 მილიონი მანათი იკისრეს გასანაღდებლად.

მაგრამ ეს ახალი სესხი მიმდინარე ხარჯების დასაფარავად არ გამოდგება. მარტში და აპრილში მთავრობამ, ზოგიერთ თავის წარმომადგენლის კერძო თავდებობით, ისესხა ფული ბერლინში ცნობილ ბანკირის მენდელსონისაგან და ახლა იმ სესხის გადახდის ვადა მოდის და ახალ სესხში შემოსული ფული ერთიანად ამ ვალის გასტუმრებას უნდა მოხმარდეს..

უფულოდ ერთ დღესაც ვერ გასძლებს თანამედროვე სახელმწიფო, ისე როგორც უსაჭმლოდ ვერ გასძლებს ადამიანი.

ამ შინაურ ეკონომიურ კრიზისს კი ჯერ-ჯერობით ნაკლებ ყურადღებას აქცევს პრესსა და ხალხი.

ი. ლ—ძე.

საყურადღებო დღე

ოფიციალურად გამოქვეყნებული დებულება სახელმწიფო სათათბიროს შესახებ წინად გაზეთებში გამოქვეყნებულ მის პროექტისაგან ბევრით განსხვავდება. მაგრამ პროექტის ძირითადი ნაკლულევანებანი კი მაინც ძალაში დარჩნენ. 6 აგვისტოს კანონით, მცხოვრებლების დიდი უმრავლესობა სრულიად მოკლებულია საარჩევნო უფლებას. გლეხ-კაცობა, პროლეტარიატი, საერთოდ ქალაქების დროებით მცხოვრებლები, რომელთა რიცხვშიაც ინტელიგენციის უმეტესი ნაწილი ხვდება—მცხოვრებლების ყველა ეს ელემენტები, როგორც პასსიურს, ისე აქტიურს საარჩევნო უფლებას სრულიად მოკლებულნი არიან: ვერც ესენი ამოირჩევენ ვისმე სახელმწიფო სათათბიროში და ვერც ამათ ამოირჩევენ. ბიუროკრატია ისევ „შუამავლად“ დარჩა ხალხსა და ხელმწიფის შუა: სახელმწიფო სათათბიროში განხილული კანონ-პროექტები გადადის სახელმწიფო საბჭოში, რომელსაც, ამრიგად, მაინც უმაღლეს ინსტანციის უფლება რჩება. სახელმწიფო სათათბიროს კომპეტენცია ძალიან ფრთებ შეკვეცილია. ეს დაწესებულება, რასაც თვით სახელიც ამტკიცებს, მხოლოდ სათათბირო ორგანოა, და არა საკანონმდებლო. კანონების შესახებ მას შეუძლიან მხოლოდ გამოსთქვას თავისი აზრი და დასკვნა, რომელსაც არავითარი სავალდებულო ძალა არა აქვს. ახალი კანონის ძალით, ზოგიერთ შემთხვევაში კანონების გამოცემა ისეც შეუძლიანთ, რომ სახელმწიფო სათათბიროს გარდაწყვეტილება ამ კანონის შესახებ სრულიადაც არ მოისმინონ. ნათლად არის გამორკვეული მხოლოდ ის, რომ კანონ-პროექტი განსახილველად უსათუოდ უნდა წარედგინოს სახელმწიფო სათათბიროს, მაგრამ ამასთანავე სრული უფლება აქვთ, სახელმწიფო სათათბიროს გარდაწყვეტილებას არ დაუცადონ და კანონი ძალაში შეიყვანონ. მეორეს მხრივ, სათათბიროს უფლება ეძლევა, დაეკითხოს სხვადასხვა საქმეზე, მაგრამ არავინ ვალდებული არ არის, მას რამე პასუხი გასცეს. სათათბიროს უფლება აქვს შეეკითხოს, მაგრამ, ამასთანავე, მინისტრსაც სრული უფლება ეძლევა ეს შეკითხვა უყურადღებოდ დასტოვოს; ამისთვის საჭიროა მხოლოდ, რომ მინისტრებმა რამე გასამართლებელი საბუთი წარმოაყენონ და აღნიშნონ ის მიზეზები, რომლის ძალითაც მათ არ უნდათ პასუხის გაცემა.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ იმპერიის ყველა ნაწილებს ერთნაირი საარჩევნო უფლება არა აქვთ მინიჭებული: განაპირა ქვეყნები, მაგალითად, ბევრად ნაკლებ წარმომადგენლებს გზავნიან, ვიდრე რუსეთის სხვა ნაწილები, თუმცა მცხოვრებლებთა რიცხვი განაპირა ქვეყნებში უფრო მეტია, ვიდრე შიდა რუსეთში.

მიუხედავად ამ ნაკლულევანებებისა, პროექტში მაინც ზოგიერთი ცვლილებები არის შეტანილი. მაგალითად: სახელმწიფო სათათბიროს პროექტში თავმჯდომარე ინიშნებოდა, კანონის ძალით კი თვით სათათბირომ უნდა ამოირჩიოს.

ჩვენ ვერ ვგრძნობთ ვერც სიხარულს, ვერც აღტაცებას და აღფრთოვანებას. რად მოხდა, ეს? იმიტომ, რომ... (ს. ო.).

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

12 აგვისტო.

ვარშავა, 12 აგვისტო. ქუჩებში გაკრულია განცხადება, რომელშიაც მოყვანილია სამხედრო დროის წესები. პირდაპირი განკარგულებანი, რომლიც შეეხება სამხედრო პოლიციურ დაცვას, გენერალ-გუბერნატორმა დაავალა მესამე გვარდიის დივიზიის უფროსს გენერალ-ლეიტენანტ ოლხოტოვსკის.

ოდესსა, 12 აგვისტო. დაიწყო მუშაობა რკინის გზის ქლტოკადსა და ნავთსადგურში.—სახალხო განათლების სამინისტრომ ნება დართო, ოდესსაში დაარსონ ქალებისთვის ფოსტა ტელეგრაფის კურსები. სწავლა დამთავრებულთ სახელმწიფო სამსახურში შესვლის ნება მიეცემათ.

პეტერბურგი, 12 აგვისტო. სტამბოლსა და სმირნაში ბევრს ოჯახებს სჩხრეკენ და ხალხს სტუსადებენ, რადგანაც დატუსადებულებმა განაცხადეს, ქალაქში 35 ყუმბარა კიდევ არისო. ამ ყუმბარებს ეძებენ, მაგრამ ვერ უპოვნიათ. სომხების მაღაზიებში იპოვნეს სალდათის ტანისამოსი და მღვდლების სამოსელი, რომლითაც შეთქმულები სარგებლობდნენ. გუშინ-წინ სმირნაში სიკვდილით დასაჯეს ერთი სომეხი, რომელიც სარევოლუციო კომიტეტს ეკუთვნოდა და, რომელმაც ორი წლის წინად, ფულისთვის მდიდარი სომეხი მოჰკლა.

ხარკოვი, 12 აგვისტო. ზმიევის მაზრის სოფელ ლიმანში ცეცხლმა გაანადგურა ას სახლზე მეტი.

მოსკოვი, 12 აგვისტო. საერთო-საერობო ორგანიზაციამ დამშეულთა დასახმარებლად 200.000 მანათი გადადო.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 12 აგვისტო. სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საიდუმლო პოლიციის უფროსის გრემზნერის მკვლელი აზნაური ნაკოფოროვი დღეს ჩამოახრჩვეს.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტრო მალე შეიმუშავებს საგუბერნიო რეფორმების პროექტს და განსახილველად სახელმწიფო სათათბიროში შეიტანს. ახალი პროექტი იმპერიის ყველა გუბერნიასა და ოლქებს ეხება. უმაღლესად დამტკიცებული საბჭო, რომელმაც უნდა შეიმუშაოს საქალაქო და საერობო მეურნეობის საკითხები, თავის მოქმედებას 20 სექტემბრიდან დაიწყებს.

სიმფეროპოლი, 12 აგვისტო. სევასტოპოლში სამხედრო სასამართლო შეუდგა ჯავშნოსან „პოტემკინ“-ის მეზღვაურთა საქმის გარჩევას. ბრალდებული 78 კაცია.

ორიოლი, 12 აგვისტო. ლივენის სამაზრო საგანგებო კრებამ, მოუსავლობის გამო დაადგინა, იშუამდგომლოს მთავრობასთან და სესხად მოსთხოვოს ასი ათასი მანათი.

ოდესსა, 12 აგვისტო. საქალებო კურსებზე 500 თხოვნაა შეტანილი.

ლიბავა, 12 აგვისტო. გამოაცხადეს სამხედრო-საზღვაო სასამართლოს განაჩენი ალექსანდრე მესამის ნავთსადგურში მომხდარ ამბების გამო. 8 მატროსს სიკვდილით დასჯა აქვთ გარდაწყვეტილი. 15-ს—10-დან 4 წლამდე კატორღა, ერთს—სამი წლით დისციპლინარული ბატალიონი, ორს—4-დან 8 თვემდე ციხე და ოცდა-შვიდს—ხუთი დღით ნაოზახტში გამოწვევა. სასამართლომ დაადგინა იშუამდგომლოს, რომ სიკვდილით დასჯა კატორღით შეუცვალონ.

კრემენჩუგი, 12 აგვისტო. რკინის გზის ლიანდაგზე იპოვნეს გვამი მოკლულ სტრაჟნიკის კრამარენკოსი.

მოგილევი, 12 აგვისტო. 10 აგვისტოს, დნეპრის ნაპირას, ვიღაცებმა მოჰკლეს გოროდოვოი.

კოპენჰაგენი, 12 აგვისტო. ინგლისის დასავლეთის ესკადრამ „დიდი ბელტი“ გაიარა და სამხრეთისკენ გაემართა.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის მოხსენებაზე, ბალაშოვში მომხდარ არეულობის შესახებ, ხელმწიფემ კეთილ-ინება და წააწერა: **დღეის შემდეგ რევოლუციონური მოქმედება მოსათმენი აღარ არის. ამასთანავე უნდა მოისპოს ბრბოს თვითნებობაც.**

პოლიციის დეპარტამენტისაგან. მაისის დამლევს სარატოვის გუბერნიის ზოგიერთ მაზრებში დაიწყო გლეხების არეულობა. ამავე დროს ატკარის მაზრაშიაც სოფლის მუშათა გაფიცვაც დაიწყო; გაფიცულები ძალას ხმარობდნენ იმათზე, ვისაც მუშაობა უნდოდა და იკრიბებოდნენ ტყეებში, სადაც სალაპარაკოდ სარატოვიდან ვიღაც უცნობი პირები მიდიოდნენ; მათ დაადგინეს, რომ მემამულეების ერთ დესეტინაში ათ მანათზე მეტი საიჯარო გადასახადი არავინ მისცეს. ადგილობრივ გუბერნატორის მეოხებით და საჩქაროდ გამოწვეულ ჯარის საშუალებით, ამ არეულობას ბოლო მოეღო. ამასთანავე უმთავრესი დამნაშავენი დაპატიმრებულ იქმნენ. ივნისის პირველ რიცხვებში ასეთივე არეულობა ბალაშოვის მაზრაშიაც მოხდა. საშინლად გავრცელდა აწ არსებულ მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდა. ატკარის მაზრაში გლეხები ძალათი ეპატრონებოდნენ მემამულეების საძოვრებს, შეიარაღებულნი მინდვრებში გადიოდნენ და დარაჯებზე ძალას ხმარობდნენ. სერდობის მაზრაში, სოფელ პაშის და ბორკის ბაზრებზე გლეხებმა დიდი არეულობა მოახდინეს და ღვინის სარდაფების განადგურება მოინდომეს, მაგრამ აზბოჟრებულმა ბრბომ მხოლოდ სადგოვის მამულის აკლება მოასწრო. სწორედ ასეთივე ამბავი უნდოდათ მოეხდინათ ბორკშიაც, მაგრამ დროზე ზომები იქმნა მიღებული. პეტროვის მაზრაში გლეხებმა საერობო უფროსის კოჟინის მამულები დაიჭირეს და ტყე გაკაფეს. სარატოვის მაზრაში რამდენიმე მამული გადასწვეს, სარატოვის გუბერნატორმა არეულობის ჩასაქრობად საჭირო ზომებს მიმართა, ბევრი გლეხ-კაცი გაჩხრიკეს და

დაატუსაღეს. დამნაშავენი პასუხის-გებაში არიან მიცემულნი. ამის მიუხედავად, არეულობა მაინც განახლდა. 27 ივნისს სარატოვის მაზრას სოფელ ბიკლეს და გრიგორიევკის ორასამდე გლეხმა კინდიაკოვსკის შენობები და მამული გადასწვა და გადარჩენილი ხორბალი მოიტაცა. გადასწვეს და გაძარცვეს, აგრეთვე, მემამულე ხოვენიც. 14 ივნისს სოფელ ოგარევკასთან, პეტროვსკის მაზრაში, გლეხებმა თავის ბულულები დაისაკუთრეს. ატკარის მაზრის სოფელ მედვედევკაში გლეხებმა ვორონცოვ-დაშკოვის მამული აიკლეს და შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. ასეთივე ამბები მოხდა ბალაშოვის მაზრაშიაც, სადაც კნეინა გაგარინისას ძნები მოსტაცეს. ამის გამო სარატოვის გუბერნატორი კაზაკებით ზემო-აღნიშნულ მაზრებში წავიდა. კაზაკების დახმარებით გუბერნატორმა არეულობა მოსპო და მოტაცებული ჭირნახული გლეხებს უკან დააბრუნებინა. ამასთანავე დაიწყო საერთო გაჩხრეკა და, ვისაც მეტი ჭირნახული აღმოაჩნდა, დაატუსაღეს. ამასთანავე გამოირკვა, რომ მამულების აკლებაში მთელი სოფელი იღებდა მონაწილეობას, ხოლო სოფლებს შორის ვინც ყოველთვის მოთავე და საქმის დამწყობი იყო ხოლმე სულ დაატუსაღეს 75 კაცი, რომელთაგან უფრო დამნაშავედ გუბერნატორმა 30 კაცი იცნო და წესიერების დარღვევისთვის ერთიდან სამ თვემდე დაპატიმრება გადაუწყვიტა, დანარჩენები კი, ორი კვირის დატუსაღების შემდეგ, გაანთავისუფლეს. საქმის გამორკვევა სამოსამართლო გამომძიებელს გადაეცა. ბალაშოვის მაზრაში დაწყებულ არეულობას ადვილად შეეძლო გაძლიერება, ამის თავიდან ასაცილებლად რომ სასტიკი ზომები არ მიეღოთ; გლეხებმა გუბერნატორს, სტოლიპინს, ორჯერ ესროლეს კიდეც; როდესაც გუბერნატორი ეტლიდან გადმოვიდა და მსროლელისკენ გაემართა, მას მესამედაც ესროლეს. დამნაშავე მაინც ვერ აღმოაჩინეს. სოფელ ტრუბეტჩინაში თავს დაეცნენ პოლიციის ურიადნიკს, რომელიც სხვადასხვა ცნობებს ჰკრეფავდა; როდესაც, ერთი დღის შემდეგ, დამნაშავეთა დასატუსაღებლად ადგილობრივი ისპრავნიკი მოვიდა, გლეხების ბრბო დაეცა მას, მაგრამ დრაგუნებმა შეამბოხენი მალე გაჰფანტეს. სხვათა შორის, 21 ივლისს ბალაშოვის მაზრაში შემდეგი ამბავი მოხდა: ბალაშოვის მაზრის ყველა ის ექიმები, რომლებმაც დემონსტრატიულად სამსახურს თავი დაანებეს, და კიდევ რამდენიმე უცხო პირი ადგილობრივ სასტუმროში დროს ატარებდნენ და სადილის დროს მთავრობის საწინააღმდეგო სიმღერებს მღეროდნენ. მალე სასტუმროს წინ თავი მოიყარა ორი ათასი კაცისაგან შემდგარმა ბრბომ, რომელიც გაფიცულ ექიმებზე ძალიან გაბრაზებული იყო; ბრბომ უკვე შეამტვრია კარები და მზად იყო გაფიცულ ექიმებს გასწორებოდა. მაგრამ მალე მოვიდა გუბერნატორი კაზაკებით.— გუბერნატორმა სასტუმროში მყოფი ყველა ექიმების გვარები ჩაიწერა და ხალხს აუხსნა, რომ ექიმები პასუხის გებაში იქმნებიან მიცემულნი. არეულობის თავიდან ასაცილებლად, გუბერნატორმა ექიმები ქალაქიდან გაასტუმრა და ხალხს სთხოვა, წესიერება დაეცვათ. გუბერნატორის დანახვისთანავე, ბრბომ სახალხო ჰიმნი იმღერა და დაჰპირდა გუბერნატორს, რომ წესიერებას არ დაარღვევს. როდესაც ექიმები სასტუმროდან გამოჰყავდათ, ბრბომ ქვები დაუშინა, შემთხვევით ერთი ქვა გუბერნატორსაც მოხვდა და თითი გაუფუჭა. ზემოდ აღწერილი ამბავი, ერთის მხრით, გამოიწვია იმ საზიზღარმა ქცევამ, რომლის მოწმეც ხალხი იყო საერობო სხდომის დარბაზში. თუმცა კრება, რომელიც ექიმების გაფიცვის გამო იყო მოწვეული, არ შესდგა, მაგრამ ზოგიერთმა მთავრობის მოწინააღმდეგემ, სარევოლუციო სიმღერები დაიწყო და ხელმწიფის სურათი დახია. არეულობის ჩასაქრობად კაზაკები გამოიწვიეს და ხალხიც მაშინვე გაიფანტა. ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ეს საქციელი ექიმებს მიაწერეს. ჯარების შემწეობით ბალაშოვში და სარატოვის გუბერნიის სხვა ადგილებში წესიერება აღდგენილ იქმნა. ყველა დამნაშავენი პასუხის-გებაში არიან მიცემულნი.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 აგვისტო.

ტოკიო, 12 აგვისტო. კომურას დეპეშის მიღებისთანავე მინისტრ-პრეზიდენტმა კაცურამ, გარეშე საქმეთა სამინისტროს გამგემ და მარკიზმა იტომ ერთმანეთი ინახულეს და კარგა ხანს ითათბირეს. ჰფიქრობენ მალე დიდი ამბები მოხდებაო.

პორტსმუტი, 12 აგვისტო. დილას ტაკახირამ განაცხადა, ყველაფერი გათავებულიაო. მისი აზრით, რუზველტის უკანასკნელმა ცდამ ფუჭად ჩაიარა.

ნიუ-იორკი, 12 აგვისტო. ,,ვორლდ''-ის კორესპონდენტი ელაპარაკა სატოს საქმის მდგომარეობის შესახებ. პასუხი ასეთი იყო: **12ხ** მილიონი გირვანქა სტერლინგი და სახალინის ნახევარი. როდესაც იმან გაიგო პეტერბურგში განცხადების გაგზავნის ამბავი, სთქვა: ,,ამის შემდეგ ჩვენ აქ საქმე აღარაფერი გვაქვს''.

ჟურნალ-გაზეთებიდან

პორტ-არტურის ისტორიიდან. „კროიც ცაიტუნგ"-ში დაბეჭდილია ვრცელი წერილი პორტ-არტურის ჩაბარების შესახებ. ავტორი, სხვათა შორის, სწერს: „როგორც ვიცით, პორტ-არტურის ჩაბარების დროს, იაპონელებმა მოითხოვეს ვრცელი და დაწვრილებით შედგენილი სია იმ ქონებისა, რომელიც იაპონელების ხელში უნდა გადასულიყო. გენ. სტესსელმაც თანხმობა განაცხადა და ბრძანება გასცა, ოფიციალურ წიგნებიდან ამოსწერეთ საჭირო ცნობები და ეგ სია იაპონელებს ჩააბარეთო. მოხელეები ისე მოიქცნენ, როგორც უბრძანეს. მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ სიასა და ნამდვილს შორის დიდი განსხვავებაა. იაპონელებს პორტ-არტურში დახვდათ 150,000 ტონნა (10 მილიონ ფუთამდე) საუკეთესო კარდიფის ნახშირი. სტესსელი კი თავის ოფიციალურ დეპეშებში აცხადებდა, ნახშირი აღარა გვაქვს და ამიტომ ფლოტი ზღვაში ვერ გადისო. მაშ როგორ და რისგან მოხდა, რომ პორტ-არტურში 10 მილიონი ფუთი ნახშირია, სტესსელი კი იწერება, ნახშირი აღარა გვაქვსო? აი, როგორ მოხდა: ვთქვათ, ერთ გემზე 6,000 ტონნა დაუდეს და გაისტუმრეს. წიგნებში კი სწერდნენ, ამა და ამ გემს 10,000 ტონნა მივეცითო. ამ დროს საწყობში 20,000 ტონნა რომ ყოფილიყო, წიგნების ანგარიშით უნდა დარჩენილიყო 10 ათასი, ნამდვილად კი რჩებოდა 14,000 ათასი, ესე იგი 4,000-ით მეტი, ვიდრე წიგნებში იყო ნაჩვენები. ამ რიგად პორტ-არტურში თანდათან მოგროვდა აუარებელი უსახელო ნახშირი, რომელიც არსად იყო ჩაწერილი. ამ უსახელო ნახშირს პორტ არტურელები ნახევარ ფასად აძლევდნენ ვაჭრებს, რომელნიც მეორე დღეს უკანვე უბრუნებდნენ ამავე ნახშირს და „შრომის" ფასს იღებდნენ. მოხელეები კი წიგნებში სწერდნენ, ამა და ამ ვაჭარს ამდენ ნახშირში ამდენი და ამდენი მანეთი მიეცაო. ეს „ამდენი და ამდენი" ნახშირი კი დიდი ხანია ხაზინას ეკუთვნოდა, მოხელეებმა კი ხელმეორედ და მესამედ გაჰყიდეს და იყიდეს. ერთი სიტყვით, რუსეთს ერთი ტონნა ნახშირი ერთი სამად უჯდებოდა, რადგან ამ ნახშირს სამჯერ ყიდულობდა, ე. ი. ერთ და იმავე ნახშირში სამჯერ აძლევდა ფულს. მთელი საიდუმლოება წიგნებში იფარებოდა: აიღებდნენ და ჩასწერდნენ, ამდენ ფუთ ნახშირში ამდენი ასი ათასი მანეთი მივეცითო. პორტ-არტურის მოხელეების ჯიბეები კი ამ დროს რაღაც უხილავ ძალით იბერებოდა და იბერებოდა. მაგრამ ეს წესი და „ჩვეულება" განა მარტო პორტ-არტურში იყო? სად ისწავლეს ეს ხერხი პორტ-არტურის „დამცველებმა?" კრონშტადტში, ლიბავაში, რიგაში და სევასტოპოლში, სადაც დღესაც, აი, ამ საათშიაც, ყიდულობენ და ჰყიდიან აუარებელ ნახშირს. (ს. ოტ.).

კამჩატკა. „დეილი ტელეგრაფს" ტოკიოდან დეპეშით ატყობინებენ: დღეს თუ ხვალ იაპონიელები კამჩატკას აიღებენ. ამოდენა ადგილს მხოლოდ ერთი ბატალიონი იცავს, ისიც ისეა მიგდებული, რომ რუსეთის დანარჩენ ჯართან არავითარი მისვლა-მოსვლა არა აქვს (ს. ო.).

ჯილდო. ხმა დადის, გენ. მიშჩენკოსა და რენნენკამფს, რომელნიც განუწყვეტლივ მარცხდებოდნენ, კორპუსის უფროსებად გახდიანო (ს. ო.).

ჩინეთი და იაპონია. თუ რა დიდი გავლენა იქონია იაპონიის გამარჯვებამ ჩინეთზე, იქიდან სჩანს, რომ უკანასკნელ დროს, ყოველ გემს ჩინეთიდან იაპონიაში 200—300 ჩინელი სტუდენტი მიჰყავს. ჩინეთ-იაპონიის ომის გათავების შემდეგ ჩინეთიდან იაპონიაში მხოლოდ ორი სტუდენტი წავიდა. ეს სტუდენტები ეხლაც განაგრძობენ სწავლას. ამჟად იაპონიის უმაღლეს სასწავლებლებში ირიცხება 2716 ჩინელი სტუდენტი და 5500 ჩინელიც ვაკანსიის განთავისუფლებას უცდის. იაპონიამ განსაკუთრებით ჩინელებისთვის მრავალი სასწავლებელი დაარსა ტოკიოსა და სხვა ქალაქებში. ამ სასწავლებლებში ხშირად შეხვდებით 60,64 და 65 წლის ჩინელ სტუდენტს (ს. ო.).

მე-17 კორპუსის ზარალი. ამ კორპუსის უფროსმა გენ. ბილდერლინგმა გამოსცა ანგარიში თავის კორპუსის ზარალისა. ომის დაწყებიდან მუკდენის ბრძოლამდის მოუკლავთ და დაუჭრიათ 455 აფიცერი და 18,128 სალდათი, რაიც შეადგენს მთელ კორპუსის ნახევარზე მეტს (რ. ს.).

ზავი. ვერავინ ვერაფერს გაიგებს, შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობიანობა ჩამოვარდება თუ ისევ სისხლის ნიაღვარი წალეკავს მანჯურიის მინდვრებს. იაპონელები გადაჭრით ამბობენ, თუ რუსეთი სახალინსაც დაგვითმობს და ომის დანახარჯსაც აგვინაზღაურებს, შევრიგდებითო, თუ არა და—წავიდ-წამოვიდეთ და სიმართლის გამორკვევა ისევ იამასა და ლინევიჩს მივანდოთო. რუსებიც ახირდნენ და აცხადებენ: არც სახალინს დაგითმობთ და არც კონტრიბუციას გადაგიხდითო. თუ გინდათ—აღმოსავლეთ ჩინეთის გზა, ლიაოდუნი და პორტ-არტური წაიღეთ, კორეაზე პროტექტორობა მიიღეთ და ცოტა რამეს კიდევ დაგითმობთო. ისე კი—თუ სახალინზე და კონტრიბუციაზე ხელს არ აიღებთ, ომი განვაგრძოთო. იაპონელებმა მთელი თავიანთი მოთხოვნილებანი 12 მუხლში მოათავსეს. 8 მუხლი რუსებმა მიიღეს, 4—უარჰყვეს. ამ ოთხ მუხლში სახალინის დათმობისა და კონტრიბუციის გადახდის გარდა მოთავსებულია სანეიტრალო ნავთსადგურებში თავშეფარებულ გემების გადაცემა და რუსეთის ფლოტის შეზღუდვა შორეულ აღმოსავლეთში. უკანასკნელ ორ მუხლში, როგორც ამბობენ, იაპონელები რუსეთს დაუთმობენ, პირველ ორ მუხლიდან კი არაფერს დაუკლებენ. ამის შესახებ ინგლისური ნახევრად ოფიციალური გაზეთი ,,სტანდარტი'' მეთაურში სწერს: ,,ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ იაპონელები სახალინის გადაცემისა და კონტრიბუციის გადახდის შესახებ რუსეთს ერთ ჰწკარსაც არ დაუთმობენ. თუ რუსეთმა მართლა უარი განაცხადა ამ მოთხოვნილების შესრულებაზე, ზავის ჩამოგდება შეუძლებელი იქნება. იაპონიის მთავრობასაც არა სჯერა, რომ ბრძოლის ველზე მშვიდობიანობა ჩამოვარდეს. კომურას ნაბრძანები აქვს მიკადოსაგან, მაგ ორ მუხლიდან რუსებს არაფერი დაუთმოვო. მთელი იაპონია აღელვებულია იმის გამო, რომ რუსეთმა სიტყვა დაარღვია: ვიტტემ პირობა მისცა კომურას, თქვენ პირობებს საიდუმლოდ შევინახავო, მაგრამ ეს პირობა არ შეასრულა და მთელ ქვეყანას შეატყობინა, იაპონია ამასა და ამას თხოულობსო. ისიც შესაძლებელია, რომ რუსეთს მოლაპარაკება დროს მოსაგებად და მოსამზადებლად უნდოდა, მაგრამ იაპონიამ დროზე გაუგო ეს ხრიკი და თავის ჯარი ისე გაამზადა, რომ ყოველ წუთს მზად არის რუსეთის ჯარს მტვერი აადინოს ზურგზე (რ. ს.).

ზავი შეუძლებელია. იაპონიის პარლამენტის დეპუტატმა მაცუმატომ, რომელიც კომურას ახლავს განსაკუთრებულ მინდობილების შესასრულებლად, „მატენ"-ის კორესპონდენტს განუცხადა: „არ ვიცი, ღმერთმანი, როგორ შეიძლება ზავის ჩამოგდება! რუსებმა უარი სთქვეს ოთხ მუხლზე: იაპონიას არც სახალინს დავუთმობთ, არც კონტრიბუციას გადავუხდით, არც ფლოტს შევიზღუდავთ და არც დარჩენილ გემებს გადავცემთო. კარგი, ვსთქვათ უკანასკნელ ორ მუხლზე იაპონიამ ხელი აიღო, მაგრამ რუსეთი დანარჩენსაც არ ღებულობს. ჩემის აზრით, მოლაპარაკება, დღეს თუ ხვალ, შესწყდება (რ. ს.).

რუსეთი ომისთვის ემზადება. ერთ ბობოლა ბიუროკრატს უთქვამს „ტაიმს"-ის კორესპონდენტისთვის: „თუ იაპონიამ ხელი არ აიღო სახალინსა და კონტრიბუციაზე, მოლაპარაკება დაუყოვნებლივ შესწყდება. ჩვენ კარგად მოვემზადეთ და იმედია, აღარ დაუვარდებით იაპონიას.

რუსები მუკდენისა, პორტ-არტურისა, ლიაოდუნისა, ცუსიმასი და მახეს ბრძოლების წინა დღესაც აცხადებდნენ, ახლა კი მოვემზადეთ და ნახეთ რა დღეს დავაყენებთ იაპონიასაო.

ამ ნომერთან ერთად ხელის მომწერლებს ურიგდებათ: ,,საერობო დებულება'' 1864 წ.

ახალი ამბავი

◆ **სახელმწიფო სათათბიროში წარმომადგენლები, სხვათა შორის, ტფილისმა** და ბაქომაც უნდა გაგზავნოს. საარჩევნო კრებებზე თავმჯდომარედ ქალაქის მოურავი, ან მისი მოადგილე იქმნება. თითო ქალაქს 80 ამომრჩეველი უნდა ჰყავდეს.

ქალაქის ამომრჩეველთა კრებაში მონაწილეობას იღებენ: ის პირნი, რომელთაც ქალაქებში და მაზრაში აქვთ ას ორმოცდაათ თუმნად დაფასებული (საერობო გადასახადისათვის) ქონება, ან სამრეწველო მოწმობები: ვაჭრობაზე—პირველი ორი ხარისხისა, მრეწველობაზე—პირველი ხუთი ხარისხისა, ან სანავოსნო მოწმობა, რომლითაც იხდის არა უმცირეს ხუთის თუმნისა; ის პირნი, რომლებიც ბინაზე სახელმწიფო გადასახადს იხდიან, მეათე ხარისხიდან დაწყებული, ის პირნი, რომლებიც ძირითად გადასახადს იხდიან. ამომრჩეველთა ასარჩევად ტფილისი უნდა 10 საარჩევნო ნაწილად დაიყოს. ბაქოც უნდა დაიყოს საპოლიციო უბნების დაგვარად. ამომრჩეველთა ასარჩევად ადგილობრივი სახაზინო პალატები ამ დღეებში ქალაქის გამგეობას შესაფერ სიებს წარუდგენენ.

◆ როგორც პეტერბურგიდან გვატყობინებენ, ამჟამად უწმ. **სინოდში ირჩევა საკითხი ივერიის ეკკლესიის ავტოკეფალიის შესახებ.**

◆ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწემ, სულთან-კრიმ-გირეიმ, ნება დართო ს. მ. დოლუხანოვისას **ტფილისში დრამატიული კურსები დაარსოს.**

◆ ქუთაისის თეატრს მომავალ სეზონში **ამხანაგობა იღებს.** ვლ. მესხიშვილი რეჟისერად იქმნება მიწვეული. ამხანაგობის წევრები არიან: ივ. გომართელი, თ. ხუსკივაძე, ალ. გარსევანიშვილი და ი. გოკიელოვი.

◆ გურია-სამეგრელოს სამღვდელოების დეპუტაციამ, სხვათა შორის, ექსარხოსს შემდეგი მოთხოვნილებანი წარუდგინა: მიენიჭოს ქართულს ეკლესიას დამოუკიდებლობა, არსებულ სკოლების ტიპი შეიცვალოს, სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი ნარბეგოვი დათხოვნილ იქმნას, აგრეთვე დათხოვნილ იქმნას გურია-სამეგრელოს კონსისტორიის მართველი ავტონომოვი და სხვ.

◆ თანხმად სინოდის მოწერილობისა, ტფილისის სასულიერო სემინარიის გამგეობას მსჯელობა ჰქონდა სემინარიიდან დათხოვნილ მოწაფეთა მიღების შესახებ. გამგეობის უმრავლესობას, 4 კაცს, მხოლოდ იმ მოწაფეთა მიღება უნდოდა, რომლებიც, მათის აზრით, კეთილ-საიმედონი არიან. გამგეობის სამი წევრი კი, სახელდობრ: მღ. კ. ცინცაძე, მასწავლებელი ი. ფერაძე და ალ. ხმელევსკი, თხოულობდნენ: **ყველა შეგირდები უკლებლივ**—არეულობის მეთაურნიც კი—**დააბრუნეთო**, და ეს მოთხოვნა ჟურნალშიაც შეიტანეს. ჟურნალი ეპ. ევთიმეს წარედგინა დასამტკიცებლად. ეპისკ. ევთიმე შუამდგომლობს სინოდის წინაშე, გამგეობის სამი წევრის აზრი შეწყნარებულ იქმნეს.

ფელეტონი

ახალგაზდებს

(ბერანჟედან)

როს ზღვის პირიდან ცის წმინდა ციაგს
უცქერდეთ თქვენა და მით სტკბებოდეთ,
ვინც რო შეაკვდა ტალღების ტრიალს
შეიბრალევით და მოიგონეთ!

—

ეცით პატივი, მწარე ბრძოლაში
დაქანცულებსა, ქარიშხლის მსხვერპლებს,
თვით დაღუპნენ ზღვისა უფსკრულში
და ნავთ-სადგური თქვენ მით გიჩვენეს!

ი. ევდოშვილი.

ეროვნული საკითხი და ავსტრიის სოციალ-დემოკრატია

ენგელბერტ პერნერსტორფერისა *)

(თარგმანი გერმანულით)

საფრანგეთის სოციალისტმა ჰერვემ მამულიშვილობის წინააღმდეგ გამოილაშქრა და ამით აიძულა საფრანგეთისა და გერმანელი სოციალისტები თავისი აზრი ეთქვათ ისეთ ცნებების შესახებ, როგორიც არის ნაციონალიზმი, ინტერნაციონალიზმი და მამულიშვილობა. ავსტრიაში მცხოვრებ გერმანელ სოციალ-დემოკრატს განსაკუთრებული უფლება აქვს ეროვნულ საკითხის შესახებ თავისი აზრი გამოთქვას, ვინაიდან მას ავსტრიის ახლანდელი მდგომარეობა თვალწინ განსაკუთრებულის სიცხადით გვიყენებს. მართალია, აქ ერთ ეროვნებას მეორისაგან არ აშორებს სახელმწიფოს საზღვარი, აქ ეროვნული და ინტერნაციონალური საკითხი ყოველივე გარეშე პირობებს მოკლებულია და ამიტომ აქ, ავსტრიის მაგალითზე, უნდა გამოჩნდეს, უარჰყოფს მართლა ინტერნაციონალიზმი ეროვნულ სხვადასხვაობას, თუ პირიქით მხოლოდ სოციალურ დემოკრატიას შეუძლიან შეუკავშიროს ერთმანეთს კაცობრიობა და ეროვნება.

გერმანელ სოციალ-დემოკრატები ამბობენ ხშირად, ეროვნული გრძნობა ინტერნაციონალიზმის საწინააღმდეგო არისო, ეროვნული მიმართულება საეჭვო და სახაცილო ჰგონიათ. ასე უყურებდა წინედ ამ საქმეს ავსტრიელ მუშათა უმრავლესობაც და მხოლოდ ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში მას ამ მხრივ ცვლილება დაეტყო. ძველი ინტერნაციონალიზმი ყოველგვარ ეროვნულ გრძნობას წინააღმდეგობას უწევდა და მის მოსპობასაც სცდილობდა, თითქო სოციალიზმის ნამდვილი მიზანი ყოფილიყოს,—ამ გრძნობის ადამიანის გულიდან აღმოფხვრა, ხალხის ეროვნული გადაგვარება...

ყოველივე ეროვნულ გრძნობის საწინააღმდეგო სოციალიზმი გერმანელებში თუ ასე გავრცელდა, ამას თავისი ისტორიული მიზეზიც მოეპოვება. გერმანელების ახლად გაერთიანებულ სახელმწიფოში ყველაფერი, რასაც ნაციონალური, ეროვნული სახელი ერქვა, სოციალიზმის და შეკავშირებულ მუშების მოსისხლე მტრად გამოდიოდა. მაგრამ არ უნდა დაივიწყოს ადამიანმა, რომ მუშათა პარტია, წინედ უმნიშვნელო და პატარა, თანდათან იზრდება და იმედიც აქვს, მალე მთელი ხალხის დიდ უმეტესობის წარმომადგენელი შეიქმნეს, რომ ეს პარტია თანდათან თვითონ უახლოვდება ერს და ხდება ამიტომ ეროვნული პარტია.

სოციალიზმი გერმანიიდან ავსტრიაში გადავიდა. აქ სახელმწიფო წესწყობილების განვითარებას ხელს უშლის ეროვნებათა სიმრავლე. დიდი ხანი გავიდა მას აქეთ, რაც ავსტრიაში აღარ შეწყვეტილა ეროვნული ბრძოლა და განხეთქილება. ეს ეროვნული განხეთქილება მეტად შემაფერხებელი უნდა გამხდარიყო თავისუფლების დამყარებისა და ხალხის სოციალ პოლიტიკურად განვითარების საქმეში. ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ გერმანელი მუშები ავსტრიაში სცდილობდნენ ინტერნაციონალიზმის დამყარებით მოესპოთ საქმის ჩამშლელი ზოგიერთი ეროვნული მისწრაფება და რომ აქაც ინტერნაციონალიზმს ეროვნების საწინააღმდეგო ხასიათი მიეცა. დღესაც ბევრ მუშას ასე ესმის ინტერნაციონალიზმი და თვით მუშათა მოწინავე ელემენტები, უმთავრესად გერმანელები ამ აზრს ადგანან.

დღესაც, თუმცა ჰაინფელდის საპარტიო კრების შემდეგ (1889), მრავალი დიდმნიშვნელოვანი ამბავი მოხდა, როგორც ვიცით, ამ კრებამ პარტიის დაქსაქსული, დაბნეული და აქა-იქ მიბნეული ნაწილები ხელახლად შეაერთა და შეადუღა, ავსტრიის ყველა ეროვნების მუშა-ხალხი შეკავშირებულ, ადმინისტრაციისა და ორგანიზაციის მხრივ, გაერთიანებულ ძალად წამოაყენა. პარტიის კრებებზე, საერთო მოლაპარაკების დროს, სხდომებზე ენათა სრული თანასწორობა იყო შემოღებული, ეროვნულ საკითხს ენათა საკითხის ხასიათი მიეცა. ნამდვილი ეროვნული გრძნობა კი უყურადღებოდ დატოვებული შეიქმნა, იგი, როგორც მავნებელი, უარჰყვეს სრულებით, ვინაიდან ბურჟუაზიის ეროვნული პარტიები საერთო მტრად ეგულებოდათ. ეროვნულ პარტიების საწინააღმდეგოდ, სამოქმედო ასპარეზზე ავსტრიის პროლეტარიატი ინტერნაციონალურად გაერთიანებული გამოვიდა.

ამასობაში 1897 წელი დადგა, და ამ წელს ვიმბერგში მოხდა პარტიის ახალი კრება. ამ კრებაზე ოფიციალური სახე მიიღო იმან, რაც ცხოვრებაში უკვე თავის-თავად დამზადდა. პარტიას მთლიანობა დაურღვეველი დარჩა, მაგრამ პარტიის მართვა-გამგეობის საქმე და ორგანიზაცია კი ძირიანად შეცვლილი შეიქმნა. ახლა დასავლეთ ავსტრიაში ექვსი სოციალ-დემოკრატიული პარტია არსებობს. ყოველი მათგანი თავის თავს დამოუკიდებლად განაგებს, ცალკე საპარტიო კრებებს ახდენს და ირჩევს ცალკე საპარტიო გამგეობასაც. ყველა პარტიების გამგეობა ერთად პარტიის საერთო გამგეობას შეადგენს. ეს გამგეობა ავსტრიის მთელ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის გაერთიანების და მთლიანობის გამომხატველია. პარტიის მთლიანობას ამაგრებს საერთო, საპარტიო კრებებიც, რომელიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ხდება. შინაგანი მთლიანობა კი გამოიხატება იმაში, რომ არც ერთი ეროვნული ჯგუფი რამე დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებას არ ადგება, თუ არ მოილაპარაკა და არ შეითანხმა მთელი პარტია საერთო გამგეობაში.

როდესაც 1897 წ. ამნაირ დანაწილების შესახებ ჰქონდათ გამართული კამათი, ზოგიერთი, განსაკუთრებით კი ხნიერი ამხანაგები, მისი მოწინააღმდეგე აღმოჩნდა. ამ წინააღმდეგობის მიზეზი ინტერნაციონალიზაციაზე უწინდელი შეხედულება იყო,—ეროვნულ სხვადასხვაობის დაკანონება სოციალ-დემოკრატიის საწინააღმდეგო ეგონათ. დღესაც ბევრია ჩვენში ისეთი ამხანაგი, რომელიც ფიქრობს, პარტიის ასეთი მოწყობა დიდი უბედურება არისო,—იმიტომ კი არა, ვითომც ამის გამო შესუსტებულიყოს პარტია, ან ვითომც ამ ახალ ორგანიზაციას რამე ზიანი მოჰქონდეს პარტიისათვის,—არა, პირიქით, პარტიის ასეთი მოწყობა თანდათან უფრო სასარგებლოდ უნდა მიიჩნიოს უთუოდ ყველამ. მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს ახალი ორგანიზაცია არა მარტო ეროვნებათა არსებობას აღიარებს,—ყველა არსებული იმდენად ძლიერი არის, რომ თეორიულად მისი არსებობის აღიარება არც ისე საჭირო იყო—არამედ იგი აღიარებს და სცნობს ეროვნულ მიმართულებას. მართალია, დღესაც ბევრია ისეთი სოციალ-დემოკრატი, რომელსაც ძალიან უძნელდება იმის თქმა საჯაროდ, რომ ეროვნულ მიმართულებას აქვს არსებობის ნამდვილი უფლება, რომ იგი აუცილებელი რამეა,—ეროვნების არსებობაში გამაცალკევებელ ძალას ხედავენ, ძალას, რომელიც უშლის პროლეტარიატის გაერთიანებას. იმათ ჰგონიათ, რომ ეროვნების არსებობა აძნელებს საბოლოო მიზნის მიღწევას და იმედი აქვთ, რომ სოლიდარობის სოციალისტური გრძნობა ადვილად მოსპობს ეროვნულ სხვადასხვაობას. იმდენად გატაცებულნი არიან სოციალიზმით, რომ ავიწყდებათ სოციალისტური პროგრამაც, ავიწყდებათ, რომ ეს პროგრამა ცხადად და გარკვევით მოითხოვს ეროვნებათა განთავისუფლებას და არა ეროვნებათა მოსპობას.

ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთ, მრეწველობის მხრივ ჩამორჩენილ პატარა ხალხში სოციალიზმის ნამდვილი მიმდევრები მოიპოვებიან. ამ უცნაურ მოვლენის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ამ ხალხებს სოციალიზმი მიაჩნიათ მათ ეროვნების დამცველად. ისინი სულით და გულით ემხრობიან სოციალისტურ, საკაცობრიო სოლიდარობას, მაგრამ ამასთან ერთად ამ სოლიდარობის დარღვევად მიიჩნევენ, თუ ვინმე მათ დამტკიცებას დაუწყებს,—თქვენი ეროვნება ყოველივე ფასს მოკლებულია, უმნიშვნელო და მცირედი რამეა, და ამიტომ უნდა გადაგვარდეთო.

რა არის იმისი მიზეზი, რომ გერმანელი სოციალისტები განსაკუთრებულ გულგრილობას იჩენენ ეროვნულ გრძნობების შესახებ? ამისი ერთი მიზეზი უკვე დავასახელეთ. თვით სიტყვა **ნაციონალური** ეჯავრებოდათ,—ხედავდნენ, რომ ამ სახელს ეპოტინებოდნენ ის პარტიები, რომელთაც ხალხი მხოლოდ დამონებისა და გაყვლეფისათვის უნდოდათ. მაგრამ ამ ეროვნულ გულგრილობას სხვა მიზეზებიც მოეპოვება. გერმანელ ხალხს მეტად გაუძნელდა მთლიან და გაერთიანებულ სახელმწიფოს მოწყობა და გერმანელთა ხასიათის დამახასიათებელმა კოსმოპოლიტობამ ბოლოს ეროვნულ გრძნობის უარის ყოფის სახე მიიღო. ამას გარდა კეთილშობილურ ეროვნულ გრძნობის გაძლიერებას ხელს უშლიდა ის გარემოებაც, რომ ხალხის ერთ ნაწილში გაბატონებული შოვინისტობა ხშირად შემაძრწუნებელ სახეს იღებდა და ამით სახელს უტეხავდა საზოგადოდ ეროვნულ გრძნობას.

ან რატომ უნდა ჰქონდეს პროლეტარიატს ეროვნული გრძნობაო?—ასე ამბობენ ხშირად. გამწარებული მუშა ხედავს, რომ მას ერის ქონებრივ და სულიერ კეთილდღეობაში არავითარი მონაწილეობა არა აქვს. განა ერთი არ რის ჩვენთვის, ამბობენ მუშები, გერმანულად თუ ჩეხურად შეგვაწუხებს სიმშილიო? და, მართლად სახაცილო იქმნება,—იმათ, ვინც ყოველ დღე სიმშილს ებრძვის, რომ მოვთხოვოთ იდეალურ კეთილდღეობის დაფასება,—და ეროვნება ეს ხომ სწორედ ასეთი უმაღლესი იდეალური სიკეთე არის. ეროვნება მოასწავებს საკაცობრიო კულტურის ერთ განსაკუთრებულ, თავისებურ გამოშუქებას. იგი მოასწავებს კაცობრიობის გამდიდრებას ერთ განსაკუთრებულ, ახალის სახით. ყველაზე უფრო ნათლად ეს გარემოება თავს იჩენს ენაში. ენა ერის უპირველესი და უდიდესი სიმდიდრეა.

რაკი ჩვენი ცხოვრება მატერიალურ ინტერესებზე არის დამოკიდებული, მუშებისაგან ეროვნულ გრძნობის მოთხოვნა შეიძლება უსამართლობად ეჩვენოს ზოგიერთს. მაგრამ ამ გრძნობის უარყოფას ხშირად სახაცილო ულოღიკობა მოჰყვება.

სოციალიზმი მუშებს გულში უნერგავს სამართლიანობის გრძნობას, და ამიტომ მისთვის, ყოველ ეჭვს გარეშეა ყოველივე დამონებულ და დარჩენილ ერის სასარგებლოდ მოქმედების საჭიროება. უცხო ეროვნების უფლებას სოციალიზმის მიმდევარი ერი ადვილად და თავის ნებით სცნობს ხოლმე,—და ნუ თუ თავის საკუთარ ეროვნულ უფლებებს დაივიწყებდა? გაუგებარ, ყრუ ხალხისაგან თუ არ ვითხოვთ ისეთ რისამე გაგებას, რაც მის უახლოვეს ინტერესს პირდაპირ არ შეეხება—სოციალისტ მუშებთან ასე მოქცევა არ შეგვიძლია. მათ უნდა მოვთხოვოთ, და მათგან მოვითხოვთ უფრო რთულ და განყენებულ კითხვების გაგება. ყოველი ადამიანი, რომელიც განიმსჭვალა სოციალისტურ მიმართულების დიად აზრებით, საკმაოდ განვითარებული უნდა იყოს იმისთვის, რომ სხვა დიდი აზრების შეგნებაც შესძლოს. ყოველმა, თეორიულად გამოწაფულმა მუშამ იცის, რომ სოციალიზმს სრულებით არა აქვს მიზნად, მხოლოდ უზრუნველყოფილი მატერიალური არსებობა მიანიჭოს კაცობრიობას. მართალია, ასეთი არსებობა მან უნდა დაამყაროს უთუოდ, მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ბიჯია უმაღლეს კულტურულ განვითარებისაკენ გადადგმული. მარტო იმისთვის კი არ ვიბრძვით, რომ

---

*) ეს წერილი დაბეჭდილია გერმანულ ჟურნალში „სოციალისტიშე მონატსჰეფტე" 1905 წ. № 8. ავტორი, პერნერსტორფერი, ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის პარტიის ცნობილი მეთაურია.

✦ ტფილისის გუბერნატორმა უბრძანა მაზრის უფროსებს, **დაუყოვნებლივ გამართონ სოფლის საზოგადოებათა კრებები** სამაზრო საბჭოებში წარმომადგენელთა ამოსარჩევად, რომელთაც საერობო დაწესებულებათა პროექტი უნდა შეიმუშაონ. გუბერნატორი ამასთან სწერს, რომ გლეხთა წარმომადგენლების არჩევნები, რაც შეიძლება, მალე უნდა მოხდეს, რადგან საბჭოების სხდომები 1 სექტემბრიდან დაიწყებაო.

✦ ნამესტნიკის კანცელარიამ ტფილისის გუბერნატორის მოადგილეს გაუგზავნა სოფლებში გლეხების დასარიგებლად 1,600 ცალი ქართულ ენაზე გადმოთარგმნილი 1864 წლის „საერობო დაწესებულებათა დებულებანი“.

✦ ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით, **ბაქოში მოკლულ თავ. ნაკაშიძის ქვრივს** პენსიად წელიწადში 6,000 მან. დაუნიშნეს, ხოლო განსვენებულის დის-წულს მარიამ ქარცივაძეს, რომელიც თავ. ნაკაშიძის აღმზრდელია, პენსიად წელიწადში 600 მან. დაენიშნა. ქარცივაძის ქალს ეს პენსია სიკვდილამდე ექნება, თუნდაც გათხოვდეს კიდეც. გარდა ამისა დახმარება მიეცა განსვენებულის ძმას თავ. გ. ალ. ნაკაშიძესაც, რომელიც ცხოვრებს ქ. ოზურგეთში და მეურნეობას მისდევს. (ბაქო).

✦ როგორც „ცნ. ფურც.“-ს ატყობინებენ, სოფ. ხოვლეს **მემამულენი და გლეხნი შეთანხმებულან** მოსავლის მეათედზე. ამას გარდა, მემამულეთ (თავ. ჯავახიშვილებს) დაუთმიათ უსასყიდლოდ ტყე, ქვა, ქვიშა და საძოვრები. შეთანხმების შემდეგ მემამულეთ უთხოვნიათ გლეხებისთვის, წლეულობით თქვენც დაგვითმეთ და მეათედები მინდვრებიდან მოგვიტანეთო. სოფელი დათანხმებულა.

✦ ტფილისის სათავად-აზნაურო ქართულ კერძო გიმნაზიის ძველმა კომიტეტმა **დანიშნა კრება ამ სკოლის საზოგადოებისა 18 ენკენისთვეს.** კრებამ უნდა აირჩიოს კომიტეტის ახალი წევრნი და ამასთანავე ხელმეორედ უნდა განიხილოს ხსენებულ გიმნაზიის რეორგანიზაციის საქმე.

✦ შინაგან საქმეთა მინისტრმა შეატყობინა კავკასიის ნამესტნიკს, რომ შუშაში **სომხურ სასულიერო სემინარიის დაარსება** უმაღლესად ნება-დართულ იქმნაო.

✦ იქით კვირაში შესდგება **ტფილისის სასწავლებელთა მასწავლებლების კრება,** რომელმაც უნდა განიხილოს პირველ-დაწყებით სასწავლებლების სამოსწავლო პროგრამმა.

✦ ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილე თავ. ჯამბაკურ-ორბელიანმა **გარდასწყვიტა—მოიწვიოს საგანგებო კრება** შემდეგ საკითხების განსახილველად: 1) კახეთის რკინის გზის გაყვანის შესახებ, 2) ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების მდგომარეობის შესახებ და 3) სათავად-აზნაურო ქართულ კერძო გიმნაზიის საჭიროებათა შესახებ.

✦ როგორც მკითხველებმა იციან, იმ უთანხმოების გამო, რომელიც წარმოსდგა კახეთის მევენახეთა საზოგადოების «კახეთის» გამგეობასა და კანტორის მოსამსახურეებს შორის, მუშათა ორგანიზაციამ **„კახეთის“ საზოგადოებას ბოიკოტი გამოუცხადა.** ახლა, როგორც გავიგეთ, გამგეობა და მოსამსახურენი შეთანხმებულან. მოსამსახურენი თხოულობდნენ, რომ ყოველი მოსამსახურეთა შესახები საქმე, როგორიც არის, მაგალითად, მიღება ან დათხოვნა მოსამსახურისა, ჯამაგირის დანიშვნა, ან მომატება და სხვა., მათის თანხმობით გადაწყვეტილიყო. ეს მოთხოვნილება გამგეობას მიუღია, მხოლოდ, როცა კერძო შემთხვევებში ორივე მხარე ვერ შეთანხმდება, სადავო საგანი გასარჩევად სამედიატორო სასამართლოს უნდა გადაეცეს. ამ **შეთანხმების გამო „კახეთის“ საზოგადოებას ბოიკოტი უკვე ახსნეს.**

✦ ტფ. თავად-აზნაურთა ქართულ კერძო გიმნაზიაში **სწავლა დაიწყება** 1 სექტემბერს კი არა, როგორც გამოცხადებული იყო, **არამედ 5 ენკენისთვეს.** მისაღები ეკზამენები 26 აგვისტოს მოხდება.

✦ 30 ივლისს სოფ. ალაგირში, ეპისკოპოსის ნება-დართვით, **ჩრდილოეთ-ოსეთის სამღვდელოებას კრება ჰქონდა,** და შემდეგი მოთხოვნილებანი შეიმუშავა: 1) მოსპოს ყოველ-გვარი სასყიდელი, რომელსაც ამჟამად მათ ოსები აძლევენ, და დაენიშნოთ მათ მთავრობისაგან ჯამაგირები: ბარში მღვდლებს წელიწადში 1,200 მან., დიაკვნებს—400 მან., მთაში მღვდლებს—1308 მ. და დიაკვნებს—450 მ., 2) ოსეთის საეკლესიო სამრევლო სკოლები სახალხო სკოლებად გადაკეთდეს და სამშობლო ენაზე სწავლა სავალდებულო იყოს; 3) შემოღებულ იქმნას საყოველთაო სწავლა სახელმწიფო ხარჯით; 4) სასულიერო პირთა ტანისამოსი შეცვლილ იქმნას ევროპიულ ტანისამოსზე 5) ნება მიეცეთ სასულიერო პირთ სამსახურიდან თავისუფლად გადადგნენ და სხვა.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი სამსახურის საქმეების გამო **პეტერბურგს გაემგზავრა.** მზრუნველი ენკენისთვის შუა რიცხვებში დაბრუნდება.

✦ როგორც გავიგეთ, ტფილისის ვაჟთა **მეორე გიმნაზიის ინსპექტორად,** ნაცვლად ი. ე. გამყრელიძისა, ინიშნება ამავე გიმნაზიის ისტორიის მასწავლებელი გ. ი. გეხტმანი.

✦ როგორც გვატყობინებენ, **სომხებს გადაუწყვეტიათ:** საეკლესიო ქონების დაბრუნების გამო, სხვადასხვა ალაგას სამი სასწავლებელი დაარსონ ხელმწიფისა, კავკასიის ნამესტნიკისა და ნამესტნიკის მეუღლის სახელობაზე.

✦ ამ თვის ოცში **მოხდება კრება კავკასიის სახელმწიფო პალატების მმართველებისა,** რომელთაც უნდა გამოიკვლიონ რაოდენობა სახელმწიფო მამულების საიჯარადრო და სახელმწიფო გარდასახადებისა.

✦ სახალხო სკოლების დირექტორმა მეორე პუშკინის სახელობის სკოლის გამგედ **დანიშნა ქ-ნი ქართველიშვილი.**

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე შტატ გარეშე კომანდების შესახებ ნაბრძანებია, რომ მატარებლების დატვირთვა-დაცლის დროს ტფილისისა, განჯისა, ბაქოსა და ბათომის ბუფეტები დაიხუროს ხოლმე, რათა ჯარის კაცებს დათრობა აღარ შეეძლოთ.

✦ საბეითალო გამგეობის უფროსი ბ-ნი ზოლოტარიევი ტფილისში დაბრუნდა.

✦ გორის მაზრის სოფ. ზანკორის გლეხებმა **შუამდგომლობა აღძრეს** ნამესტნიკის წინაშე, რომ მათ სხვა ადგილს 300 დესეტინა მიწა დაეთმოთ გადასასახლებლად.

✦ ხარფუხის ქალაქის სკოლის შენობას პირველ სექტემბრისათვის დაასრულებენ.

✦ ავლაბრის პროგიმნაზიისათვის დაქირავებულ იქმნა სახლი ნუნუფაროვისა, როზოვის მოედანზე.

სადღეისო

—

მე და ის...

(ერთი კაცის დღიურის მეცხრე ფურცელი)

ერთით ტყუილად კი დავარქვი ჩემის დღიურის ამ ფურცელს ასეთი სახელი...

სად მე და სად ის!

მე ერთი უბირი კაცი გახლავართ, ბევრი ნაღველი შემასვა ცხოვრებამ, კიდევ უფრო ბევრს მოველი, მაგრამ მრწამს, რომ ჩემი შვილი, ან შვილის შვილი ოდესმე მაინც მოესწრობა ადამიანურ ცხოვრებას და მომავალს იმედიანად შევყურებ. ჩემი თავი არც გმირი მგონია და არც იმდენად საპყარი, რომ ავისა და კარგის გარჩევა არ ვიცოდე. მტერი უფრო ბევრი მყავს, ვიდრე მოყვარე, მაგრამ არც ეს მაწუხებს. ერთი კაცი თუნდა ცოცხალიც გადამყლაპონ, ამითი ქვეყანას ბევრი არა დააკლდება-რა, ხოლო ავ-კაცობა კი იმათ შერჩებათ...

ერთი დიდი ნაკლი კი მაქვს!

დამავიწყდება ხოლმე, რომ ცხოვრებამ, სიყვარულმა გამაღლებულის სიცოცხლისამ, სხვის ხელის შემაყურებელი, სხვის მონა გამხადა... წელიწადს არ ვიტყვი, ერთი თვე და თითქმის ერთი კვირაც რომ სხვას არ ვემსახურო, სიმშილით სული ამომივა.

ბუნებას ლაღი და თავისუფალი გავუჩენივარ, მაგრამ ცხოვრების პირობებმა მომკიდეს ქოჩორში ხელი და ხან ერთის დაწესებულების კარებზე მიცეცხვეს ცხვირი, ხან მეორისაზე. ხან ერთის ალის მანქანად გადამაქციეს, ხან მეორისა. ყველგან და ყოველთვის ერთსა და იმავეს ვხედავდი და ვგრძნობდი: გინდა ცხოვრება, იმსახურე, არა და მიბძანდი და იირიკავეო“. ბევრჯერაც ვირიკავე, მოგეცათ ბატონის წყალობა, მაგრამ ეს ოხერი კუჭი ამწევდა ხოლმე და... ისევ რომელიმე შეძლებულის კარებ-წინ მაჩოქებდა...

სულ ქვეშ რომ ვსთქვა, მარტო კუჭის ბრალიც არ არის ადამიანის დამცირება. ერთ ლუკმა პურს კაცი—ადამიანი ყოველთვის იშოვის, გარშემოც რომ ადამიანები ეხვიოს, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ირგვლივ ხალხი ბევრია, მაგრამ ადამიანი კი—ძლერ ცოტა! უკუღმართმა ცხოვრების პირობებმა ბევრი ჩვენთაგანი დააკნინა, უკეთურმა აღზრდამ სულით დაამდაბლა, წყეულმა **შენ-შეჩემობამ** გააგულქვავა, გაამედიდურა!

თუ გაქვს რამე, თუ შენგან რამეს გამოელიან, ცოლსაც უყვარხარ და შვილსაც, ამხანაგსაცა და მეგობარსაც, დედასაც და მამასაც, თვისსაცა და ტომსაც, ხოლო თუ პირში სულის მეტი არა გაქვს-რა, მაშინ კი მშვიდობით!.. დედაც, მამაც, ნაცნობი თუ უცნობი, ყველა ქოქოლას გაყრის: ბოსიაკია, სულელიაო!..

შენ კი უყურებ, უკვირდები ამ მღაღადებელთ, ამ „წმინდანებს“, ამ „ქვეყანებს“ ამ „ადამიანებს“, ამ შენ „დამრიგებლებს“, ამ შენ ,,გულის შემატკივართ'' და მართლა რომ გული გტკივა, სისხლი გემღვრევა, სიცოცხლე გეწამლება, ცხოვრება აშმორებულ მორევად გეჩვენება, მაგრამ რადგანაც შენც ნაწილაკი ხარ ამ ცხოვრებისა, რადგანაც გინდა უმზირო მზესა და მთვარეს, გინდა გიყვარდეს და უყვარდეთ, გინდა მოსწონდეთ და მოგწონდეს, გინდა იცხოვრო და სხვაც აცხოვრო, თავ-დავიწყებით დაცურაობ ცხოვრების აყროლებულ ზვირთებში, იქნევ ხელსა და ფეხს, ბობოქრობ, ზოგს ემონები, ზოგს ჰბატონობ, ხან იცინი, ხან სტირი, მაგრამ თავი მაინც თავისუფალი ადამიანი გგონია... გივიწყდება, რომ ქვეყანა შენ გატყუებს და შენ კი—ქვეყანას.

განა თავისა და ქვეყნის მოტყუება არ არის, როდესაც ჩვენი თავი თავისუფლები, ადამიანები გვგონია და ამავე დროს ერთმანეთს კი ვძარცვავთ, ვამცირებთ, ვივიწყებთ, ვსტანჯავთ, უდიერად ვეპყრობით, წურბელასავით სისხლსა ვწოვთ, ძალ-ღონეს ვაცლით, გულსა და გონებას ვუფიტავთ და თან კი ღიმილით ვეუბნებით—მე შენი მომხრე, მარჩენალი ვარო!

განა შეიძლება ადამიანური დამოკიდებულება იყოს იქ, სადაც ერთი მილიონებს ატრიალებს, მეორე კი ღობის ძირას ძაღლივით მიმჯდარა: დამდაბლებული, დაავადებული, დაკონკილი, მშიერი, მწყურვალი და ხელგამოშვერილი, „მლოცავდე თქვენის წყალობის''.

როდესაც ასეთ სურათსა ვხედავ ხოლმე, მძაგს მთელი ქვეყანა, მძაგს ადამიანები, მძაგს ჩემი თავიც, მძაგს ჩემი წარსული და აწმყო და ნათლადა ვგრძნობ, რომ მეც წილი მიდევს ცხოვრების სივერაგეში!..

ამ გვარ ყოფაში თავის ამაღლება, დამცირებაზე უარესია და მეც გავურბი ხოლმე ჩემიანებს. მინდა მარტოკა დავრჩე, ჩავუკვირდე ჩემ გულის ტკივილს, ცხოვრების სიდუხჭირის მიზეზებს, მინდა ვიპოვნო, დავიჭირო ჩემს არსებაში ის ნაწილაკი ადამიანობისა, რომელსაც **სული** ჰქვიან, მინდა ავამაღლო იგი, გავბანო ჭუჭყისაგან, განვასპეტაკო და შევძახო ყველა ჩემისთანებს: თქვენც ხომ სული გიდგიათ, გონება გაქვთ, გული გიცემთ მკერდ ქვეშ, მაშ შევერთდეთ და ერთ დღეს გავანადგუროთ ამ სულის გამაპირუტყვებელი გარემოებანი!.. ამ დროს მე მონა აღარა ვარ ცხოვრებისა! ოცნება შემისვამს ხოლმე თავისს სუბუქ ფრთებზე და... თვალწინ მეხატება ადამიანური სიცოცხლე სავსე სიამითა და ნეტარებითა, სიცოცხლე თავისუფალი, უმანკო, უბრო. სიყვარული შარავანდედით ეფინება ამ ცხოვრებას და ურთიერთობა დედა-ბოძად შესდგომია. ერთია—ყველა და ყველა—ერთი! აღარ ვხედავ არც დამცირებას, აღარც სხვის შევიწროვებას, აღარც მდიდარს და აღარც ღარიბს!.. ოცნებით მაინც გაადამიანებულის, „ჟინი ამოღებს ხოლმე და სიმღერას ვაგუგუნებ“...

აი, ეს ჩემი სიმღერები არ მოსწონებია **იმას.**

ის დიდი კაცია, თუ ბუნებით არა, მდგომარეობით მაინც. თანამედროვე ცხოვრების ალღო ადრე აუღია, აქეთაც არის იქითაც, შენიც არის, ჩემიც, ქვეყნისაც, „საზოგადო მოღვაწეთაა“ აღიარებული. მის სიტყვას აფასებენ, აზრსა ჰკითხავენ, საქმის სათავეში აყენებენ, ენდობიან და ისიც თავისებურადა ხმარობს ამ ნდობას.

მთელი დღე დღინებს, მხიარულია. კაი სახლები აქვს, ფულს ვერც კი ითვლის, მდიდრულადაა მორთული, კუჭ-მაძღარი, უდარდელია. დღიური მუშაობა არ უხდება: არ იცის რა არის უკმაყოფილო უფროსის გადახედვა, დროზე ჯამაგირის მიუღებლობა, ავანსი, ვალი, სიმშილი, წყურვილი, დამცირება ლუკმა პურისთვის... ბედნიერია ხალხის თვალში და...

ხალხსაც ჰმეთაურობს.

მთელი დღე დადის სახალხო დაწესებულებებში: ყველგან წევრია, ყველგან არჩეულია. აქ კი მოღუშულია ხოლმე,--ხალხს დარბაისლად აჩვენებს თავს.

ხალხს მეტქი რომ ვამბობ, რასაკვირველია, მის ამხანაგებსა და მსგავსებს ვგულისხმობ.

დაბალი, ბეჩავი, მშომელი ხალხი საზოგადოდ, მასზე ძლიერ შორს არის და ერთმანეთისაც არა ესმითრა...

ჩვენც არა გვესმის-რა ერთმანეთისა, მაგრამ, როგორც „მოღვაწე“ ძალიან გაუჯავრებია ჩემ სიმღერას და, აი, ერთ მშვენიერ დღეს, მომივიდა შემდეგი მისი „კრიტიკა“, რომლის თითოეულ წინადადებასაც მეც მინდა კრიტიკა გავუკეთო.

— „მე როგორც განათლებული კაციო,— მწერს ის მედიდურად, თითქოს ბანზე იდგეს და იქიდან მელაპარაკებოდეს—დიახ, მე როგორც განათლებული კაცი...

(მართალია! ოთხი წლის მაგივრად რუსეთში ათი წელიწადი იყო).

— როგორც მოყვარული ჩვენის ერისა...

(ქართული ლაპარაკი ეჩოთირება).

— როგორც მოყვარული ქართულის ლიტერატურისა და მოსურნე ახალგაზდა მწერლების წარმატებისა...

(სტყუის... შურითა კვდება თუ რომელიმე მწერალი უქეს.. თუმცა არც მწერალს და არც მის ნაწერებს არ იცნობს. მარტო თავისი თავი ჰგონია „დიდებული“, დანარჩენები კი—უნიჭონი).

— როგორც ხალხის გულშემატკივარი...

(ხალხს კი მაღლიდან უყურებს და მისი ჯავრი ისე არა მაქვს, როგორც მგელს—ცხვრისა).

— როგორც მებრძოლი...

(გოროდოვოის რომ ხედავს, კანკალი მოსდის)!

— როგორც უანგარო მოღვაწე...

(ორი სახლი აქვს, მესამესაც ახლა ყიდულობს).

— როგორც ადამიანი...

(ქვის გული აქვს და ხის გოგრა... გროშს არ გაიმეტებს საჭირო საქმისთვის).

— როგორც მოვალე მამულისა და მომავლის წინაშე...

(დიაღ, მამული კი ძალიან უყვარს. ამას წინად გლეხებს თავპირი დაამტვრია, ნადელისას რატომ მეთოხედს არ მაძლევთო!..

მომავლის გახსენებაზე ხომ სულ გული უსკდება! იცის, რომ, მომავალში, იმისთანა ვერაგებს საზოგადო საქმე ხელში აღარ ჩაუვარდებათ!..)

— გთხოვ, სიმღერებს თავი დაანებოთო.

გავათავე წერილის კითხვა და ჯერ მეწყინა, მერე გამეცინა.

„საზოგადო მოღვაწეს'', როგორც ეტყობა, ნერვები აშლია, და რომ დამემშვიდებინა, წერილის მეორე გვერდზე დავაწერე:

ადამიანმა კარგად სჭამოს, კარგად ჩაიცვას და დაიხუროს, არა ჩვენ უნდა ვეცადოთ იმას, რომ ყველა განვითარებულ კულტურის მონაწილე შეიქმნეს, რომ ყველამ შეითვისოს კულტურა და შესძლოს მისი განვითარება. მაგრამ კულტურას ეროვნული ხასიათი აქვს ყოველთვის. იგი ამა თუ იმ ხალხში იწყება პირველად და შემდეგშიაც, თანდათან განვითარების დროს, მას ეროვნული ხასიათი არ ეკარგება. პირიქით, უფრო აშკარად ემჩნევა უთუოდ.

სოციალიზმი და ეროვნული მიმართულება ერთმანეთის საწინააღმდეგო არ არის,—პირიქით, ორივე ერთმანეთისათვის საჭიროა. ეროვნულ მიმართულების საწინააღმდეგო ყოველი მოქმედება ამცირებს კაცობრიობის კულტურულ სიმდიდრეს. მართალია, ეროვნულმა მიმართულებამ შეიძლება დამახინჯებული სახე მიიღოს და ამიტომ ჩვენ ვხედავთ, რომ ინგლისელი სოციალისტები ჯინგლოების საწინააღმდეგოდ იბრძვიან, საფრანგეთის სოციალისტები თავიანთ ნაციონალისტებს მედგარ წინააღმდეგობას უწევენ, იტალიელი სოციალისტები არ ემხრობიან ირრედენტისტებს. ინგლისის, საფრანგეთის, და იტალიის სოციალიტებს ახლაც გატაცებით უყვართ თავიანთი ერი, მაგრამ მათ მაინც საკვირველის სიმტკიცით დაიცვეს თავიანთი მოვალეობა კაცობრიობის წინაშე. სოციალიზმი ცდილობს მოაწესრიგოს კაცობრიობა და კაცობრიობის სხეულში შემადგენელი ნაწილები ცალკე ერები და არა ცალკე ადამიანები. სხეულის ჯანმრთელობა თუ გვინდა, ამ შემადგენელ ნაწილების ჯანმრთელობაზედაც უნდა ვიზრუნოთ უთუოდ.

ეროვნულ სხვადასხვაობას მოჰყვება, რასაკვირველია, ეროვნულ ინტერესების სხვადასხვაობაც. ცხადია, რომ ამ სხვადასხვაობის მოსპობა ცალიერ სიტყვებით არ შეიძლება. მაგრამ რა ადვილია მათი მოწყობა იქ, სადაც ხალხი სოციალისტურ მიმართულებას დაადგა!

როდესაც რამე განხეთქილება ჩამოვარდება, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რა საშუალებას მიმართავს ორივე მოწინააღმდეგე მის მოსასპობად: შეიძლება მაშინვე იარაღს სტაცონ ხელი,—შეიძლება ერთმანეთთანაც მივიდნენ შესათანხმებლად, და, როდესაც შეთანხმება უნდათ და მოლაპარაკება გამართული აქვთ, სულ სხვაა—ერთმანეთის მოტყუილება უნდათ ამ მოლაპარაკებით, თუ ნამდვილი შეთანხმების ჩამოგდება.

ავსტრიის სოციალ-დემოკრატებმა იმნაირი ორგანიზაცია მოაწყვეს თავის პარტიისათვის, რომ იგი მთელ სოციალისტურ მოძრაობის კარგ წასაბაძ მაგალითად გამოდგება. ავსტრიაში სოციალ-დემოკრატია წარმოადგენს მთლიან ერთეულს, ეროვნების მიხედვით რამოდენსამე ნაწილად დაყოფილს. მართალია, ავსტრიაში ჯერ არ მოსპობილა ეროვნული უთანხმოება, სადაც რამოდენიმე ეროვნება ერთად ცხოვრობს, უფრო ხშირია იგი და უფრო ხშირიც უნდა ყოფილიყო კიდეც, ვიდრე იქ, სადაც ორ ეროვნებას ერთმანეთში სახელმწიფოს საზღვარი აშორებს, სადაც ყოველ ეროვნებას აქვს განსაზღვრული ტერიტორია. ავტრიაში კი ორი, ხშირად სამი ეროვნება ერთსა და იმავე ადგილას ცხოვრობს და ამიტომ ბევრგან შეიძლება მათი ინტერესების დაპირდაპირება მოხდეს. მართალია, ყველგან ასე არ არის საქმე, მაგრამ იქაც კი, სადაც მხოლოდ ორი მოსაზღვრე ეროვნება ერთმანეთს ხვდება, ხშირად იწყება ეროვნული განხეთქილება და ეროვნული სასტიკი ბრძოლა. ავსტრიის სოციალ-დემოკრატები ამნაირ შემთხვევაში შეთანხმებას ახერხებდნენ ყოველთვის, მაგრამ ეროვნული სხვადასხვაობისა და განხეთქილების უარისყოფა,—განზრახ თვალის ახვევა და თავის დაბრმავებაა. ავსტრიის სოციალ-დემოკრატიას არ შეუძლიან მცირე მნიშვნელოვან საქმედ გამოაცხადოს ეროვნული საკითხი, ვინაიდან მაშინ იგი იძულებული შეიქმნებოდა გერმანულ ენას, როგორც უფრო შემოღებულ და უფრო მდიდარ ენის, გავრცელებისთვის და გერმანელების კულტურულ გაბატონებისათვის ხელი შეეწყო. მაგრამ ავსტრიის სოციალ-დემოკრატია ასე არ მოქცეულა,—მას უნდა იცნობს ყოველ ეროვნების თანასწორი უფლება სახელმწიფოში.

როდესაც ბრუნში მომხდარ საპარტიო საერთო კრებაზე, პარტიის საერთო გამგეობამ წარადგინა გადაწყვეტილების პროექტი, რომელსაც მიზნად ჰქონდა ეროვნულ პროგრამმისათვის დედა-აზრების გარკვევა, პარტიის ზოგიერთი გამოჩენილი წევრი ეჭვის თვალით უყურებდა ამ საქმეს და აცხადებდა: ამ რთულ საკითხის გადაწყვეტა სოციალ-დემოკრატიას არ შეუძლიანო. მაგრამ მათი მოლოდინი არ გამართლდა და ეგრედ წოდებულ **ეროვნულ ავტონომიის ბრუნნის პროგრამმა** ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის უდიდესი საპოლიტიკო ღვაწლია. ამ პროგრამაში მხოლოდ დედა აზრებია დასახული, თუმცა ისიც უნდა სთქვას ადამიანმა, რომ ეს დედა აზრები ახლად გამოგონილი არ არის, 1848 წელსაც ზოგიერთი აშკარად აცხადებდა ამავე აზრებს. მაგრამ მაინც მათი წამოყენებით ავსტრიაში ეროვნულ საკითხის საქმე ახალ გზას დაადგა. პირველად ამ ახალ პრინციპებს განსაკუთრებულ ყურადღებას არ აქცევდა არავინ, ახლა კი მათ თანდათან მეტი მიმდევარი უჩნდება და მათი მთავარი აზრი,—ეროვნული ავტონომია,—ახლა ავსტრიაში ეროვნულ საკითხის გადასაწყვეტად საუკეთესო საშუალებადაა მიჩნეული. საჭიროა დედა აზრებზე შეთანხმდეს ადამიანი. ამ დედა აზრების განხორციელება შემდეგ უფრო საადვილო გამოდგება, ვიდრე ზოგიერთს ჰგონია.

სოციალიზმს შეუძლია თამამად აღიაროს, რომ ეროვნულ საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს და, როგორც ერთის მხრივ სოციალიზმი ინტერნაციონალური,—საერთაშორისო უნდა იყოს და კიდეც არის, ისე, მეორეს მხრივ, იგი უთუოდ უნდა შეიქმნეს ეროვნული, ნაციონალური. სამხრეთ ავსტრიაში იტალიელთა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას გარკვეული ეროვნული ხასიათი აქვს, პოლონელთა სოციალ-დემოკრატიული პარტია, ცნობილ დაშინსკის მეთაურობით, ჩეხელთა სოციალ-დემოკრატიული პარტია, სლოვენების და რუთენების პარტიები, ყველა ეროვნულია და ავსტრიაში მყოფმა გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმაც თავისი თავი ნამდვილ გერმანელებად უნდა გამოაცხადონ. ავსტრიას არსებობა შეუძლიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოაწესრიგა როგორმე ეროვნული საკითხი. ესეც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ საკითხს, რომლის შესახებ სოციალიზმი გარკვეულ მიმართულებას უნდა დაადგეს უთუოდ.

ვალდებულიც არის კიდეც მოიქცეს ასე, ვინაიდან თანდათან ეს პარტია თავის თავს ხალხის ნამდვილ წარმომადგენლად გრძნობს. ყველაფერი, რასაც სასიცოცხლო ძალა აქვს დროთა-ვითარებაში, ჩვენთან ერთად არის, ან ჩვენ გვერდით მოქმედობს. დღეს ერთი პარტიაც არ არის, რომელსაც სახელმწიფოს მთლიანობა უფრო მიაჩნდეს, ვიდრე სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ვინაიდან ამ მთლიანობის წყალობით გაიზარდა იგი გაბატონებულ წრეებთან მუდმივის ბრძოლით. ამ მთლიანობას მისთვის აშკარა მნიშვნელობა აქვს. მაგრამ მთლიანობა ჭურჭელივით არის, მას რამე შინაარსი უნდა მიეცეს უთუოდ. გერმანელ სოციალდემოკრატებს და მათთან ერთად ყველას, ვისაც გერმანიის შინაური განვითარება ენატრება,—ეჯავრებათ მხოლოდ ის საძაგელი ღვინო, რომლის ჩასხმას ამ ჭურჭელში აპირობენ ზოგიერთები. ამიტომაც არის, რომ სოციალ-დემოკრატებს სახელმწიფო მტრებს ეძახიან, სამშობლოს უარის მყოფელებს. მართლაც, ასეთები არიან სოციალ-დემოკრატები მმართველ კლასსებისათვის. მაგრამ მაშინ, როდესაც საქმე შეეხება ეროვნულ ცხოვრებას, მაშინ კი სოციალ-დემოკრატები პირველები არიან. ჩვენ აღვიარებთ ჩვენს ეროვნებას და ვამაყობთ იმით, რაც შეუქმნია ამ ეროვნებას,—ჩვენ, როგორც გერმანელები, ვამაყობთ იმით, რომ თვით თეორიული სოციალიზმიც გერმანულ გონების ნაყოფი არის. ერის არსებობა, ყოველივე უბედურების მიუხედავად, ასე ადვილად არ მოისპობა. ამიტომ ჩვენ, როგორც ნამდვილი სოციალისტები, ვერ ვუღალატებთ ჩვენს ეროვნებას...

—

სამი მიზანი გვაქვს ყოველთვის: ფაქტების აღნიშვნა (იმის თქმა, რაც არის), განვითარების ისტორიულ კანონების გარკვევა და ამ განვითარებისათვის პრაქტიკულ ზომებით ხელის შეწყობა.

ჩვენ წინ უტყუარი ფაქტია: დედამიწაზე სხვადასხვა ეროვნება ნამდვილად არსებობს.

ამა თუ იმ ეროვნულ სახით ვიბადებით ყველანი და, რამდენადაც უფრო მეტ განათლებას ვიღებთ, მით უფრო ცხადი და აშკარა ხდება ჩვენი ეროვნული თავისებურობა.—ეროვნულ ელფერს ხომ იმ თავითვე ჩვენი დედა-ენა გვდებს. ყოველ ენას თავისი ხასიათი აქვს და, რაც უფრო განვითარებულია გონებრივად ხალხი, რაც უფრო მეტის კულტურის პატრონი არის, მით უფრო მეტი ეროვნული თავისებურობა ეტყობა ერს და მის ყოველ წარმომადგენელს. ასეა კერძო ადამიანიც, რაც უფრო განვითარებულია, მით უფრო მეტ თავისებურობას იჩენს, მით უფრო განსხვავებულია მისი პიროვნება.

სოციალიზმს კაცობრიობის უმაღლესი განვითარება სწყურია. მისი ნამდვილი მიზანია,—მოამზადოს გზა ამნაირ განვითარებისათვის. სოციალიზმს სრულებით არ უნდა მშიერი პირუტყვები მაძღარ პირუტყვებად აქციოს,—მას სურს, რომ ადამიანი თავისუფალი და გათვითცნობიერებული შეიქმნეს და, რა-კი კაცობრიობა სხვადასხვა ეროვნების სახით არსებობს, ამიტომ სოციალიზმი უნდა ცდილობდეს უთუოდ, რომ ყველა ეროვნება შეიქმნეს თავისუფალი, დამოუკიდებელი და გათვითცნობიერებული.

სოციალიზმი ოცნების სამთავროში როდი მოქმედობს. თავის მიზნების სიდიადის მიუხედავად, იგი ყოველთვის ცხოვრების სინამდვილეზედა დამყარებული. სოციალიზმი არ ოცნებობს მთელ კაცობრიობისთვის საერთო ენის შექმნაზე, მხოლოდ სურვილებით არ სცდილობს არსებულ სიბნელის მოსპობას.

ეროვნულ საკითხის გადაწყვეტა რომ დიდ სიძნელეს წარმოადგენს, ეს ხომ ყველასათვის ცხადია. ყოველ ეროვნებას სურს იქონიოს თავისი ბინა, სადაც იგი ბატონი იქმნება ისე, როგორც ყოველ ადამიანს სურს თავისთვის განსაკუთრებული ბინა გაიჩინოს სადმე. მაგრამ ხალხის გაძლიერების აზრი მის გარეგან გაძლიერების სახეს იღებს ხანდახან. ბურჟუაზიულ პოლიტიკების თავში, ეროვნული საკითხი ყოველთვის ძალით გადასაწყვეტ საკითხად რჩება; სოციალისტები კი ამ საკითხს მშვიდობიანის გზით უპირებენ გადაწყვეტას. ინტერნაციონალ სოციალიზმში, მართალია, ჯერ არ არის გარკვეული საზოგადო საფუძველი ეროვნულ პოლიტიკის მოსაწყობად, და მხოლოდ ავსტრიის სოციალ-დემოკრატებმა ბრუნნის პროგრამმით ეს საფუძველი უკვე მოიპოვეს თავისთვის. მათის აზრით. საჭირო არის: ეროვნულ ტერიტორიის მთლიანად შერჩენა, ეროვნულ უმცირესობის დაცვა, ადგილობრივ ეროვნულ საქმეების ავტონომიური მართვა და გამგეობა. იქ, სადაც ამ პრინციპებს ადგია ადამიანი, იქ ეროვნული მშვიდობიანობა თითქმის უზრუნველყოფილია.

მართალია, აქაც ნამეტანი გატაცება არ ვარგა, მაგრამ ცხოვრების დაკვირვება გვიმტკიცებს, რომ სწორედ დღეს, როდესაც მისვლა-მოსვლა გახშირდა, ეროვნული გრძნობა უფრო სათუთი და ამასთანავე ძლიერი შეიქმნა. ორმოცდა-ათი წლის წინედ ეგონათ კიდევ, მისვლა-მოსვლის გახშირება მოსპობსო ეროვნულ სხვადასხვაობას—ცხოვრების სინამდვილე კი სწორედ ამის წინააღმდეგი გამოდგა. ჩვენი დრო ძლიერ ეროვნულ გრძნობების დრო არის—დღეს ყოველი პატარა ეროვნებაც თავის თავს იცავს. ავსტრიის მაგალითი ამ მხრივ მეტად საგულისხმოა,—აქ ეროვნული საკითხი გადასწყდა.

ავსტრიის სოციალ დემოკრატიამ ეს საკითხი გადასწყვიტა თავისთვის და სხვებსაც უჩვენა, თუ რა გზით შეიძლება მისი გადაწყვეტა და მოწყობა სახელმწიფოში. ამისთვის საჭიროა, რომ ყველა ეროვნებას თანასწორი უფლება ჰქონდეს მინიჭებული იმ სახით, რა სახითაც მათ ეს უფლება მიანიჭა თავის ორგანიზაციაში ავსტრიის მუშათა პარტიამ.

— შენ, როგორც ბაქიას, მეცა გთხოვ: ნიღაბი ჩამოიხსნა, გუდა-ნაბადი აიკრიბო და მოშორდე საზოგადო ასპარეზს... ძირს უგულო, უსულო და მატყუარა ადამიანი! შენისთანა მოღვაწეებს ქვეყნის ხსნა რომ შესძლებოდათ, აქამდის ასე დამცირებულიც აღარ ვიქნებოდით-მეთქი"!

წერილი კონვერტში ჩავდე და გავუგზავნე.

—

ვინ იცის ახლა საჯაროდაც გამლანძღოს. არ დაუჯერებენ თუ? **იმის** მსგავსებისთვის

„ჭკუა—ხაშია,
გრძნობა—არტალა"!

ია ეკალაძე.

რა არის პლატფორმა?

ქვეყანაზე ყველას და ყველაფერს თავისი ბედი აქვს. ბედმა, სხვათა შორის, უცხო სიტყვას—„პლატფორმასაც" თავის წილი არგუნა და ჩვენშიაც თითქმის საყოველთაო სახმარებლად გახადა. მაგრამ ჩვენში ჩვეულებრივად ამ სიტყვებსაც ცოტა რამ შეაკვეცეს, ცოტა რამ მიუმატეს და ამრიგად შინაარსი და მნიშვნელობა გამოუცვალეს.

ჩვენში სიტყვა „პლატფორმა" ნიშნავს პოლიტიკურ პროგრამას. თვითონ ამ სიტყვის სამშობლოში—ინგლისში კი ესევე სიტყვა ნიშნავს იმ უფლებას, რომლის ძალით ყველას შეუძლიან საჯაროდ საზოგადოებრივ და სახელმწიფო საქმეების შესახებ სიტყვა წარმოსთქვას. ჩვენ ბევრი ვიყვირეთ კიდევაც შესახებ არჩევნებისა და სიტყვისა, პრესსისა, კრებებისა და კავშირების თავისუფლებისა; ხოლო რაც შეეხება „პლატფორმას", რომელიც ყველას უფლებას აძლევს საჯაროდ სახელმწიფოსა და საზოგადოების შესახებ ილაპარაკოს—ამაზე ხმაც არ ამოვიღეთ და არც კი მოვიგონეთ.

თავისუფალ და კარგად მოწყობილ სახელმწიფოში „პლატფორმას" ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. „პლატფორმა" პირველი მეგობარია პრესსისა და საუკეთესო იარაღია მშვიდობიანად რეფორმების მოსახდენად. ის ზოგჯერ საზოგადოებრივ აზრისა და მისწრაფების გამომხატველია, ხან კი—საუკეთესო საშუალებაა საერო მოღვაწეთა აზრის გასაცნობად. მაგრამ ყველა ამას გარდა „პლატფორმა" სახელმწიფოს თავიდან აშორებს ხალხის აღელვებას, გაბრაზებასა და არეულობას და მშვენივრად აცნობს ამ ხალხის სულიერ მდგომარეობას, და სურვილს. სწორე გზაზე დაყენებული „პლატფორმა" თვითონ მთავრობისთვისაც ძალიან სასარგებლოა, რადგან იგი ის საზომია, რომელითაც ნათლად გამოიხატება შინაურ საზოგადოებრივ ძალთა მიმართულება.

„პლატფორმა" ინგლისში შედარებით გვიან გაჩნდა. ერთ ნახევარ საუკუნის წინად ინგლისში იყო სამი დაწესებულება, რომელნიც სამეფოს მართვა-გამგეობას ერთმანეთში იყოფდნენ: მეფე, ზემო-პალატა და ქვედა-პალატა. ნელ-ნელა დაიბადა მეოთხე დაწესებულებაც, რომელსაც კარგა ხანს ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რომ კონსტიტუციის ნაწილად ყოფილიყო აღიარებული. კარგა ხნის შემდეგ გაჩნდა კიდევ ერთი დაწესებულება—„პლატფორმა". წინად ამ სიტყვას მისი ნამდვილი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ეს სიტყვა წარმოსდგა იმ ამაღლებულ ადგილიდან, რომელზედაც ორატორები იდგნენ ხოლმე და ხალხს ელაპარაკებოდნენ, სიტყვებს ამბობდნენ. როდის წარმოსდგა „პლატფორმა" არავინ იცის, რადგან იგი ერთ დღეს კი არ დაიბადა, არამედ დიდი ხნის განმავლობაში მწიფდებოდა და მზადდებოდა.

„პლატფორმის" მნიშვნელობამ ინგლისში პირველად თავი იჩინა მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, სწორედ იმ დროს, როცა უესლეისა და უაიტფილდის გავლენით მძლავრი სარწმუნოებრივი საზოგადოებრივი მოძრაობა დაიწყო. იმავ საუკუნეს გასულს „პლატფორმამ" მედგარი ბრძოლა აუტეხა იმ დროინდელ მექრთამე და დამახინჯებულ პარლამენტს. „პლატფორმას" ჯერ უნდოდა საპარლამენტო არჩევნებზე მოეპოვა გავლენა, მერე კი თვით პარლამენტის წინააღმდეგ გაილაშქრა და მისი შეცვლა-გადაკეთება მოითხოვა. მაშინდელი ქურდბაცა, ბრმა და სასტიკი მთავრობა ამ მოძრაობის ჩასაქრობად არაფერს ზოგავდა: გააუქმა პიროვნების ხელშეუხებლობა და მოქალაქეობრივი თავისუფლება, საპყრობილეები ხალხით გაავსო, სასამართლო მოისყიდა, დაიმორჩილა და კომედიად გადააქცია; თუ კრებას მოასწრობდა სადმე, ცხენოსან ჯარს მიუსევდა და მუსრს ავლებდა, მაგრამ... ყველაფერი ამაო იყო...

მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა და ყოველნაირად ცდილობდა, რომ როგორმე რევოლუცია გამოეწვია და ძალის სახმარი მიზეზი მოეპოვა, მაგრამ უკიდურესობამდე გაბრაზებული და ხრამის პირამდე მისული ხალხი, ისევ „პლატფორმამ" გადაარჩინა.

ბოლოს და ბოლოს პლატფორმამ თავისი გაიტანა და ძველი პარლამენტი ახლად გადააკეთებინა. ეს ახალი პარლამენტი მმართველ და ქურდბაცაცა მთავრობას კრიჭაში ჩაუდგა, ხელფეხი შეუკრა და ინგლისიც მშვიდობიან განვითარების გზას დაადგა. ასეთია ინგლისის „პლატფორმის" ისტორია.

რუსეთის პლატფორმამაც ხმა ამოიღო, მაგრამ მთავრობა მას ახლოც არ იკარებს. იგი თავს იჩენს მხოლოდ ბანკეტებზე, მუშათა მიტინგებზე და საზოგადოდ ისეთ ადგილებს ეძებს, სადაც პოლიცია არა სჩანს... ჯერ ჯერობით თაგვივით იმალება, სოროში ძვრება და იქ აკეთებს თავის დიდსა და შესანიშნავ საქმეს (სლ.).

რუსეთი

◆ **პრესსის თავისუფლება.** „სევერო-ზაპ. სლოვოს" რედაქცია აცხადებს: „ჩვენ შევაგროვეთ მასალა იმ საშინელ ამბების შესახებ, რომელიც 30 და 31 ივლისს მოხდა ბელოსტოკში, მაგრამ **ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო** ამ მასალას ვერ ვბეჭდავთ. რა საშინელი ამბები მოხდა ბელოსტოკში ამ ორი კვირის წინად, დღესაც არ ვიცით (სლ.).

◆ გარეშე საქმეთა სამინისტროს, «ბირჟ. ვედ.»-ს სიტყვით, უცხო სახელმწიფოებისთვის ოფიციალურად **არაფერი შეუტყობინებია ახლად დაარსებულ სახელმწიფო სათათბიროს შესახებ.** რუსეთის მთავრობის აზრით, ახლად დაარსებული სათათბირო მხოლოდ შინაური ცვლილებაა და და მას არავითარი გავლენა და მნიშვნელობა არ ექნება რუსეთისა და უცხო სახელმწიფოების ურთიერთ დამოკიდებულებაზე. რუსეთის სახელმწიფო კანონების ძალით, უცხო სახელმწიფოებთან მოლაპარაკება და ასეთ თუ ისეთ დამოკიდებულების დამყარება ეკუთვნის მხოლოდ პირადად ხელმწიფე იმპერატორს, ახლად დაარსებულ სათათბიროს კანონის მე-34 მუხლის ძალით კი, სათათბიროს ნება არა აქვს მსჯელობა იქონიოს სახელმწიფოს ძირითად კანონების შესახებ, რომელნიც ეხლაც ისეთივე არიან, როგორიც ამ სათათბიროს დაარსებამდის იყვნენ (ნ. დ.).

◆ პეტერბურგში ხმა დადის, უმაღლეს მანიფესტის გამოცხადების გამო, ამ დღეებში **ამნისტია** მოხდებაო (ნ. დ.)

◆ „ბერლინერ ტაგებლატ"-ის კორესპონდენტი პეტერბურგიდან დეპეშით იუწყება: ბულიგინმა თავის საქმე გაათავა და სამსახურიდან გადის. იმის მაგივრად მოიწვიეს **პოლიციის მინისტრი ტრეპოვი,** რომელიც თანახმაა შინაგან საქმეთა მინისტრის ადგილი დაიჭიროს (ნ. დ.).

◆ რუსეთის **უმაღლეს მოხელეებში დიდი ცვლილება უნდა მოხდეს.** ბულიგინის გარდა სამსახურიდან გადიან იუსტიციის მინისტრი მანუხინი და სოლსკი. მანუხინის ადგილზე ნიშნავენ სახელმწიფო საბჭოს წევრს პლატონოვს და მიწად-მოქმედების მინისტრად ნამყოფს ერმოლოვსაც ახალ ადგილს აძლევენო. იმასაც ამბობენ, შავი ზღვის ფლოტის უფროსი ადმირალი ჩუხნინი ბალტიის ზღვაზე გადაჰყავთო (ნ. დ.).

◆ წითელი ჯვრის მთავარი გამგეობა ბრძოლის ველზე აღარც სათნოების დებს გზავნის და აღარც საექიმო წამლებს. მიზეზი ის არის, რომ **გამგეობას სწამს ზავის აუცილებლობა** (ნ. დ.).

◆ ვარშავიდან „პტი პარიზენს" დეპეშით ატყობინებენ: ამას წინად პოლონეთის მწერლებმა და საერო მოღვაწეებმა ვრცელი წერილი დასწერეს და გაზეთ „რუს"-ში დაბეჭდეს. ავტორები მედგარ პროტესტს აცხადებენ პოლონელების გარუსების პოლიტიკის გამო და რუსეთის მთავრობას აფრთხილებენ: პოლონელების ბრალი არ იყოს, თუ მაგ პოლიტიკამ მწარე ნაყოფი გამოიღოსო. ამ წერილს, სხვათა შორის, ხელი მოაწერეს განთქმულმა რომანისტმა ჰენრიხ სენკევიჩმა და გრაფებმა ცამოისკი-პლატერმა და ტიშკევიჩმა. ამის გამო ვარშავის გენერალ-გუბერნატორმა მაქსიმოვიჩმა სამივეს თავინთსავე სადგომში დაპატიმრება მიუსაჯა რამდენისამე კვირით (ნოვ. დნ.).

◆ 24 აგვისტოს ტომსკის **სამოსწავლო პალატა განიხილავს** ცნობილ გეოგრაფის პოტანინის საქმეს, რომელსაც პოლიტიკური ბრალი ედება. პოტანინი 73 წლის მოხუცია (ნ. დ.).

◆ 24 ივლისს, ვილნოს საოლქო სამხედრო სასამართლომ განიხილა საქმე სალდათის რეგინბოგინისა, რომელსაც პოლიტიკური ბრალი ედება. როგორც ოქმიდან სჩანს, 1904 წელს 19 ნოემბერს მინსკში რეგინბოგინი ომში წასასვლელად მომზადებულ **სალდათებს ურიგებდა პროკლამაციას,** რომელშიაც ნათქვამი იყო, რუსის სალდათმა უარი უნდა სთქვას ომში წასვლაზე და მეფე ჩამოაგდოს ტახტიდანაო, და სხ. სასამართლომ ბრალდებულს ყოველივე ღირსება-უფლების ჩამორთმევა და ციმბირში გადასახლება გადაუწყვიტა (ნ. დ.).

◆ ფინლიანდიის ბეჭვდითი სიტყვის მთავარმა სამმართველომ სენატის პროკურორს სთხოვა, სჩივარი აღძრით ფინურ გაზეთების-„კარიატისა" და „ციენიესის" წინააღმდეგო. ამ გაზეთებს რუსეთის კიცხვა და ლანძღვა ბრალდებათ (ნ. დ.).

კორესპონდენცია

—

სოფელი ხელთუბანი (გორის მაზრა). თუმცა სოფელს ათი ათისთავი ჰყავნდა და დღესაცა ჰყავს ამორჩეული, მაგრამ, რადგან აქაური მემამულე-ქალების მეოხებით აქ კაზაკთა ასეული არის დაბანაკებული და ამ ასეულის უფროსმა გამოუცხადა ხალხს, საღამოს ცხრა საათის იქით ქუჩაზე აღარავინა გნახოთ, ურილობები და კრებები აღარ მოახდინოთ, გლეხები მორიდებით იქცევიან ან კი ვისთვის რა სასიამოვნოა გვერდების დაზელა და უბების დალურჯება?

კაზაკები რადაც კრებების მოსასწრობად დღეღამეში რამდენჯერმე უვლიან სოფელს (უფრო კი ორი თუ სამი კაცის სახლს). მათი მარტო ქურდ-ბაცაცა ბიჭებს არ ეშინიათ და არხეინად დათარეშობდნენ ვენახებში და სოფლის ქათმებზე, რადგან კაზაკები მარტო „ბუნტებს" ეძებენ...

ბოლოს, რაკი საქმე გაჭირდა სოფლის ამორჩეული კაცები აღარ შეეპოვნენ და შეიყარნენ. ქურდებს საქვეყნოდ ძროხები გამოურეკეს და შუა სოფელში, წყაროზე, ჩამორეკეს. ამ დროს შებინდდა კიდეც. სოფლის კარგის მომდომს შეეტყობინებინა კაზაკებისთვის, რომ „ურილობაა და ესა და ეს კაცი აგიტაციას ეწევაო". მაშინვე გაჩნდნენ კაზაკები და, ვინც ვერ გაასწრო, გვერდები აუჭრელეს. გზა შეუკრეს ერთს ვითომდა „აგიტატორს" და გზაზედ გააგდეს. მაგრამ თურმე იმ „აგიტატორს" თავის ვენახში ქურდები დაეჭირა, ათისთავებს იმაზე ეჩხუბებოდა, რიგიან სამართალს არა სწევთო. დამბეზღებლები პირში ჩალა გამოვლებული დარჩა.

მეორე-მესამე დღეს სოფელს ეწვია ბოქაული. დაყენებულმა კაცებმა აუტანეს და წინ დაუყარეს რამდენიმე კონად შეკრული კიტრები და ქურდებისგან დაგლეჯილი და დამტვრეული ნამყენები.

— აი ბატონო, რადგან ჩვენ გვიშლით შეკრებასა, ქურდების გასამართლებას და გვცემთ კიდეც, გთხოვთ თქვენ თვითონ გვიპოვოთ ქურდები და გასაჯოთ კიდეცაო. ქურდის მამამაც იჩივლა, ათის თავებმა დამარბიეს, საქონელი გამირეკესო. ბოქაული გაუჯავრდა ათისთავებს! ნება არა გაქვთ საქონლის წართმევისა, თუ გინდათ, სხვანაირად დასაჯეთ, მე არ დაგიშლითო.

ამის გამო 29 ივლის შეიყარა, სკოლასთან, მთელი სოფელი. უნდა მოსულიყო ყველა. ვინც არ მოვიდოდა, ის იქნებოდა სოფლის მოღალატე.

აქ გამოაცხადეს ათის თავებმა: რადგან გვიშლიან, რომ ქურდებს და იმათ ოჯახს გადავახდევინოთ რამე, ამიტომ გთხოვთ ან დაგვითხოვოთ, ან ისეთი განაჩენი დაადგინოთ, რომ ჩვენ უფლება გვქონდეს, ქურდების დასასჯელად სხვა ღონეს მივმართოთო.

ცოტა ხნის მოლაპარაკების შემდეგ, სოფელმა დაადგინა: იმ ოჯახს, რომელ ოჯახიდანაც იქნება ქურდი და ავი კაცი, შეკრას სოფელი, ე. ი. გამოეცხადოს ბოიკოტი. ვინც ამისთანა ოჯახთან დაიჭერს რამე დამოკიდებულებას, თვით იმასაც შეკრას სოფელი. ვინც ხელს არ მოაწერს ამ განაჩენს,—თვით იმასაც. თვითონ ქურდებს კი შეეკრას ხელები და სოფელ-სოფელ ჩამოატარონ; ამიტომ ამ დროს მთელი სოფელი სახლში უნდა იყოს. ხოლო, რაც ზარალი მოსვლია ამ ქურდისგან და ავი კაცისგან ვისმე, ქურდის ქონებიდან ეზღოს. დაადგინეს რამდენიმე კიდევ საკუთრად სოფლის შესახები გარდაწყვეტილება, მოაწერეს ხელი და აქვე გამოუცხადეს ქურდების ოჯახს ბოიკოტი,—რადგან თქვენ ჩვენს სამართალს არ ემორჩილებით და სოფლიდან გინდათ გამოწყვეტა, გამოსწყდით კიდეცო.

მეორე დღეს შეუკრეს ხელები ქურდებს და სალაუბო ალაგას ბოძებზე მიაკრეს. ღვთისწყალობა გაქვს, ახლა კი დაფაცურდნენ ქურდებიც და ქურდის პატრონებიც. თუ გუშინ ძროხას არ ანებებდნენ, დღეს თავის ხელით თან ხარებიც მოაყოლეს. რადგან პატიება ითხოვეს და თავი მოახარეს სოფლის წინაშე, ბოიკოტი ახსნეს და მხოლოდ-და დაზარალებულის სასარგებლოდ ზარალი აზღვევინეს. ამ ურილობაში კაზაკები სრულებით აღარ გარეულან და არც ხელი შეუშლიათ. ასეა დღეს აქ საქმე!

დალას არც აქ აძლევენ მეათედზე მეტს, თუმცა სხვა მემამულეებმა თანხობა გამოაცხადეს მორიგებაზე, მაგრამ დ. თუმანიშვილის ქალები, უფრო კი იმათი დედა, ძალიან უარზე არიან. სოფელს კაცი მოუგზავნეს, ძნა გასალეწი გვრჩება, ნუ უშლით, მოჯამაგირეები დაგვიდგნენო. სოფელმა უპასუხა: ჩვენ არავის ვუშლით, თუ კი ჰსურთ, დაგიდგნენ, მხოლოდ ძალით კი ვერავის დაგიყენებთო.

ახლა ემუქრებიან სოფელს, რაც ზარალი მოგვივა, თქვენ გადაგახდევინებთო. სოფელიც უპასუხებს, ჩვენ ძალით არ მოგვსულვართ, თქვენი მოჯამაგირეები არ გაგვირეკია, მით უმეტეს, რომ შემწე კაზაკები აქვე გიყენიათ და გასაკვირველია, თქვენ რომ ზარალი მოგივიდეთ, ჩვენი რა გადასახდელიაო.

იმათი მოჯამაგირეები იძახიან, „ბუნტები" დაგვახვდნენ გზაში და გამოგვიცხადეს, თუ არ გამოსულხართ, დაგხოცავთო.

სოფელმა ამ კნიაჟნებს ამათი მამის ხსოვნის პატივსცემით არ გამოუცხადა ბოიკოტი, მოჯამაგირეებიც ჰყავნდათ და მუშასაც თავისუფლად ამუშავებდნენ, კიდეც მომკეს, კიდეც გათიბეს და ახლა სიკეთის მაგივრად სოფელს ზარალის გადახდევინებას და „ზეკუციასაც" კი ჰპირდებიან. მადლობაც ასეთი უნდა!

აქა ცხოვრობს ერთი მარტოხელა თავადიშვილი ზაქარია, თუმანიშვილი, მდივნების ჩამომავალი და ზემოხსენებულ კნ. ნათესავი. ეს რამდენიმე თვეა, ავად არის, უპატრონოდ. რასაც გლეხები სამადლოდ შეუტანენ, იმითი საზრდოობს. მიკვირს, თუ გლეხებსა და თავად-აზნაურობის „ერთობა" არ იქნება, ეს ხომ იმათი სისხლი და ხორცია. თავადებმა ამ საპყარს და უპატრონოს, თავის სისხლის კაცს, მაინც გაუწიონ ერთობა და უპატრონოდ ნუ მოჰკლავენ. სირცხვილია იმის გვარიშვილობისთვის.

როგორც ამბობენ, აქედან კაზაკები დ. სურამში გადაჰყავთ, აქ მხოლოდ ცამეტ კაცს სტოვებენო. ამბობენ, თუმანიაანთ ქალების ბოსელში იქნებიანო.

ამას წინად აქ მთელი ერთი კვირა გადაუღებლად წვიმდა. მინდორში დაყრილი ძნა და ნათიბი ყანის ბულულები სულ გაალპოვა. კარზე მოტანილ დადგმულ ძნებსაც გაატანა და დაასველა. რაც სეტყვას გადარჩა, ის წვიმამ შეუსრულა. მაინც ჩვენი გლეხი იმედიანად არის. საკვირველი ხასიათი აქვს: რაც უნდა უჭირდეს, არც წუწუნით შეგაწუხებს და არც სამთხოვაროდ გაიშვერს ხელს. არ ვიცი, შეჩვეულები არიან სიღარიბეს, გაჭირებას, თუ ქართველის ბუნებაა ასეთი?!.

კიკოლა.

წერილი რედაქციის მიმართ

—

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩემს წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულს გაზეთში. ამ დღეებში სოფელ ქვემო და ზემო-ნიჩბისში მოვიდა კომისია, რომელსაც დავალებული აქვს, გამოიკვლიოს გლეხების მოძრაობით გამოწვეული ზარალი მებატონეებისა. თან ახლდათ კაზაკები და დრაგუნები თავიანთი აფიცრებით. კომისიამ დაიბარა თავად-აზნაურნი და გამოუცხადა: შეადგინეთ სია ზარალისა, რომელიც გლეხებმა მოგაყენეთ. ხოლო გლეხკაცებს გამოუცხადეს, რაც თქვენი მავნე მოძრაობით ზარალი მიაყენეთ თქვენს მებატონეებს, დაუყოვნებლივ უნდა უზღოთო და ამას გარდა ისევ ის ღალა უნდა აძლიოთ, რაც აქამდის გიძლევიათ. გლეხები გაოცდნენ, შეშინდნენ და მებატონეებს მიმართეს, ნუ დაგვღუპავთ, ცოლ-შვილს ნუ დაგვიწიოკებთ, რაიმე შეღავათი მოგვეცითო. მებატონეებმაც აპატიეს ყოველი ზარალი, საკუთარ მიწებიდან მესამედის მაგივრად, მეოთხედი აიღეს და ნადელების მეოთხედი სრულიად აჩუქეს. მეორე დღეს ჯერი მიდგა ზემო-ნიჩბისელებზე. აქაურმა მებატონეებმა, გარდა სარდიონ ციციშვილისა, შეადგინეს ზარალის სია, წარუდგინეს კომისიას და, რადგან გლეხები თავის სურვილით ზარალის გადახდაზე არ დასთანხმდნენ, თავადებმა მოითხოვეს, რომ ძალით გადახდენოდათ. კომისიაც დასთანხმდა და კაზაკ-დრაგუნები საღამოზე შეესივნენ სოფელს. სტუმართ-მოყვარე თავადებმა კი ამ დროს ვახშამი გაუმართეს აფიცრებს, რათა მათი გული მოეგოთ და თხოვნა უფრო კარგად შეესრულებინათ. კაზაკებიც შეუდგნენ თავიანთ ვახშამზე ფიქრს და პურების საშოვნელად სოფლად იწყეს სიარული. სხვათა შორის, მივიდნენ სარდიონ ციციშვილთანაც, რომელიც იმ დროს დაწოლას აპირებდა, და პურები სთხოვეს. სარდიონმა უბრძანა, მათთვის პური გამოეტანათ. სანამ პურებს მოიტანდნენ კაზაკები ოთახში შევიდნენ, ერთი მათგანი სარდიონის ქვეშაგებზე ჩამოჯდა. კაზაკები რომ წავიდნენ, სარდიონ ციციშვილმა ნახა, რომ კაზაკებს ჭილობის ქვეშიდან ვერცხლის ქამარი გამოუღიათ და წაუღიათ. მე დავედევნე კაზაკებს, მაგრამ ვერ დავეწიე. გაბოროტებული მივედ პირდაპირ თავადების სახლში, სადაც ვახშამს შეექცეოდნენ და კაზაკების უფროსს ვუამბე ყველაფერი. აფიცერმა მომისმინა, შეკრიბა კაზაკები და მითხრა: აბა იცანი, რომელი იყო. მეც ვიცან ის კაზაკი, რომელიც ქვეშაგებზე იჯდა და ხელი დავადე: აი ეს არის მეთქი. ამას შემდეგ აფიცერმა უბრძანა კაზაკებს დაშლილიყვნენ, მე კი ლაპალაკი გამიბა და ერთი საათის შემდეგ, როდესაც ქურდი ქამარს ადგილს უპოვნიდა, მითხრა, წადი ახლა და იმ კაზაკის ბინა გასინჯეო. მეც წავედი, მაგრამ ალბად თავადებმა ბევრი ვერაფერი უთხრეს კარგი ჩემზე აფიცერს, რადგან რამდენიმე წუთის შემდეგ დაუყვირა კაზაკებს: დაჰკათ მაგას მათრახიო. ამ დროს მოიჭრა სარდიონ ციციშვილი და ჩემი შველა მოინდომა, მაგრამ იმასაც დაუწყეს ცემა. დანარჩენი ციციშვილები იდგნენ და გულგრილად შეჰყურებდნენ, კაზაკები მათრახებით როგორა სცემდნენ მათ ბიძაშვილს, სარდიონ ციციშვილს, მხოლოდ იმიტომ რომ სარდიონი არ შეუერთდა მათ და იმანაც არ უჩივლა გლეხებს ზარალი. ჩვენ ნაცემ-ნატყეპი სახლებში დავბრუნდით. თავადები და აფიცრები კი ისევ ქეიფს შეუდგნენ.

დ. წიკლაური.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

13 აგვისტო.

პარიზი, 12 აგვისტო. გაზეთ „ტან"-ს კარლსბადიდან ატყობინებენ, რომ მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ, ვიტტე სამს კვირას კარლსბადის წყლებზე დარჩებაო.

პეტერბურგი, 12 აგვისტო. ვლადივასტოკიდან იუწყებიან, რომ იქ ცხოვრება ჩვეულებრივად მიმდინარეობს.

პორტსმუტი, 12 აგვისტო. იუწყებიან, რომ ხელმწიფე იმპერატორმა უარ-ჰყო იაპონელების წინადადება კონტრიბუციის შესახებ, მუხლი გამოაკლო იმ პირობით, რომ რუსეთმა გამოისყიდოს სახალინის ჩრდილოეთი ნაწილი. იაპონიის ერთმა სახელმწიფო მოღვაწემ განაცხადა, იაპონელების მოთხოვნილებანი, რომელიც მათ ოთხშაბათს წარმოადგინეს, იაპონელთა მოთხოვნილებათა მინიმუმი არ არისო. შესაძლებელია შემდეგშიაც დათმობაზე მიდგეს საქმე. პროფესორი მარტენსი ევროპაში აღარ მიდის.

გუნჯულინი, 12 აგვისტო. იაპონელებმა მდინარე ამურის შესართავთან დიდძალ გემს მოუყარეს თავი.

გუნჯულინი, 12 აგვისტო. იაპონელები ჯარს აძლიერებენ. გზავნიან, განსაკუთრებით, ახლად მოკრეფილს და ტერიტორიის ჯარისკაცებს. ეს გარემოება იმის მომასწავებელია, რომ იაპონია უკანასკნელ ძალღონეს იკრებავს.

ნიუ-იორკი, 13 აგვისტო. სახელმწიფო მდივანს ოფიციალურად ატყობინებენ, რომ იაპონელებს რაღაც საიდუმლო მიზეზებისა გამო ავსტრალიის გემი დაუჭერიათ.

პორტსმუტი, 12 აგვისტო. ერთ იაპონელ კორესპონდენტის სიტყვით, კონფერენციის სხდომები ხვალ დასრულდება. იაპონია ვეღარაფერს დაუთმობს, რადგანაც ხალხი და ჯარი ამის ნებას არ მისცემს.

პეტერბურგი. პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს: ბალტიის მხრის ლატიშების საზოგადოებრივი მოძრაობა წარსულ საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში დაიწყო და წლევანდლამდის მხოლოდ ეკონომიური ხასიათი ჰქონდა, დღევანდლამდე მარტო იმასა სცდილობდნენ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა მოეპოვებინათ. მაგრამ 1903 წლიდან ამ მშვიდ ბრძოლაში ჩაერია მეოთხმოცე წლებში დაარსებული სოციალ დემოკრატიული პარტია და ამასთან ერთად მოქმედება დაიწყო მავნე მიმართულების სოციალ-რევოლუციონერთა ორგანიზაციამ, რომელმაც სახელად „ლატიშელ მუშათა კავშირი" დაირქვა. გაძლიერებულ აგიტაციის მეოხებით, სოფლებსა და ქალაქებში ბალტიის მხრის მოძრაობამ პირდაპირ რევოლუციონური და ზოგიერთ ადგილას ანარქისტული ხასიათი მიიღო, რომელიც არსებულ წესწყობილების კერძო საკუთრებას და თითქმის პიროვნებასაც ძირიანად განადგურებას უპირებდა. ამ მავნე მოძრაობამ უკიდურესობამდის მიაღწია ამ წლის პირველ თვეებში (შემდეგი იქნება).

კრონშტადტი, 12 აგვისტო. დღეს მოვიდნენ ხალხის-მიერ შეწირულ ფულით აშენებული ნაღმიანი კრეისერი „ემირ ბუხარსკი" და „ფინნი".

კიევი, 12 აგვისტო. სახელმწიფო სათათბიროს აქტის გამოქვეყნების დღის აღსანიშნავად აქ ორი სასწავლებლის დაარსება გადაწყვიტეს.

პეტერბურგი. გაზეთების სიტყვით, პეტერბურგის სამღვდელოებას სახელმწიფო სათათბიროში გასაგზავნ წარმომადგენლის ასარჩევად თათბირი ჰქონდა. კანდიდატებად ხარვის ეპისკოპოსი ანტონინი და არნატის პროტოიერეი დაასახელეს.

სტამბოლი, 12 აგვისტო. სომხებს და მაკედონელებს პერასა და სკუტარის სხვადასხვა ნაწილებში 300 ყუმბარა უპოვეს. ამ გარემოებამ მცხოვრებლები ძალიან ააღელვა. ბევრი საეჭვო პირი დაატუსაღეს. დატუსაღებულთა რიცხვში ერთი რუსის ქალიც მოჰყვა. ფიქრობენ, რომ სომხების სარევოლუციო კომიტეტი კონსტანტინოპოლში იმყოფება. საერთოდ კონსტანტინოპოლში მდგომარეობა ძალიან გამწვავდა. ჯარისკაცებმა ერთს მოედანზე ბერძნის ქალი ჯერ გააუპატიურეს და მერე მოჰკლეს.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
18 აპრილიდან.
(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.), 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3 სამგზავრო № 6 დილის 10 ს. წ. ს. (11 6 7 წ.).

ე) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ვ. შექსპირის თხზულებანი — ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნი
„რიჩარდ", „მაკბეტ", „კორიოლან", „იულიოს კეისარი", „ანტონიოს და კლეოპატრა" და „ოტელო"
იყიდება ცალკე წიგნაკებად წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.
იქვე იყიდება გრიბოედოვის ცნობილი კომედია „ვაი ჭკუისაგან", დ. ყიფიანის თარგმანი, დრამატიულ საზოგადოების გამოცემა.

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, **როგორც ქალებს, ისე ვაჟებს,** და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია,** 2) **საკომერციო არითმეტიკა,** 3) **ბუხჰალტერია** (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი,** 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა,** 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი,** 7) მსწრაფლ-წერა და **წერა-გაკრული და შნოიანი** (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, დილის 10 საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.

უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა.
(24—14)

Дозволено цензурою, Тифлисъ, 13 Августа 1905 г.

ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის. ქ., № 5